ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 იანვარი 2008 №008 (3232) ფასი 50 თეთრი



გოჩა თანდარაშვილი საგანგებოდ „სარბიელისთვის“ ლივერპულიდან

## ლივერპულული შოუ ქართველი შოუმენით

ორიოდე თვის წინ, ერთ ინტერვიუში ცნობილმა შოუმენმა და სპორტის დიდმა ქომაგმა გოჩა თანდარაშვილმა თქვა, ძალიან მინდა, „სარბიელში“ ვწერდეო.

ეს ორი თვის წინ იყო...

გოჩას ისიც ნათქვამი აქვს, ოცნებად „ენფილდზე“ „ლივერპულის“ თამაშის ნახვაც მაქვსო...

გუშინწინ ლივერპულის „ენფილდის“ „კოპზე“ (ტრიბუნა, სადაც ლივერპულელთა თავგამოდებული ქომაგები სხედან) „ლუთონთან“ მატჩისას გოჩა თანდარაშვილი თავისი ოცნების ადგილას იყო, მერე კი „სარბიელისთვის“ საგანგებო რეპორტაჟს წერდა.

მის ინგლისურ შთაბეჭდილებებს ამ დღეებში სრულად შემოგთავაზებთ, დღეს კი გოჩა თანდარაშვილის ამ კონკრეტული მატჩისწინა და მატჩისშემდგომი ჩანაწერები იყოს...

იხილეთ მე-6 გვერდზე

## ჩვენი უმაღლესი და მათი პრემიერლიგა იპოვეთ ბევრი განსხვავება



თვალისმომჭრელად ბრწყინავს და კაშკაშებს თანამედროვე ევროპული ფეხბურთი. მის შემყურეთ, საქართველოს ჩემპიონატისკენ თავის მოსატრიალებლად ძალის დატანება ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ერთი წამით ევროაღფრთოვანებისგან დაღებული პირები დავხუროთ, ჩამოვარდნილი ყბები ადგილზე დავაბრუნოთ და განსჯას მივეცეთ. სულო ცოდვილო და, იქნებ მოვიფიქროთ, რა უნდა მოვიმოქმედოთ, ფეხბურთმა ჩვენთანაც რომ გაიბრწყინოს...

# სარაგბო რაზმი ჯერ არა, სარდლობა უკვე შეიკრიბა

ცოტაც და, საქართველოს ნაკრები წლევანდელ სარაგბო სეზონს დაიწყებს. 2 თებერვალს ჩვენი „ლელოები“ თბილისში პორტუგალიის ნაკრებს უმასპინძლებენ. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც, ეს საერთათასო მატჩი შარშან უნდა გამართულიყო. პორტუგალიის ნაკრებს განრიგი მსოფლიოს თასის გამო აერია, შემდეგ თბილისში აირია ვითარება და ურთიერთშეთანხმებით მატჩი ორჯერ გადაიდო.

პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებს ამიერიდან ავსტრალიელი ტიმ ლეინი უთავკაცებს, რომელიც დეკემბერში თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს რაგბის კავშირს სიტყვიერად მაშინვე შეუთანხმდა. კონტრაქტით ტიმ ლეინს თვეში 10 ათასს ევროს სთავაზობენ, ნაკრებში კი ოთხ წელიწადს იმუშავებს. ლეინის და ჩვენი რაგბის კავშირის თანამშრომლობა ოფიციალურად ალბათ 28 იანვარს გაფორმდება, როდესაც ავსტრალიელი თბილისში ჩამოვა და პორტუგალიასთან სადებიუტო მატჩისთვის მოამზადებს ნაკრებს.

საამატჩოდ ჩვენები იმავე დღეს შეიკრიბებიან, საპორტუგალიო 22-კაცა შემადგენლობა კი დასაზუსტებელია. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ტიმ ლეინის თანაშემწეები საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბეები, ლევან ცაბაძე და ვიქტორ დიდებულიძე იქნებიან.

„ლეონსიომ“ სარაგბო კარიერა 2003 წლის მსოფლიოს თასამდე დაასრულა, 34 წლის ვიქტორ დიდებულიძე კი ჯერაც თამაშობს, ოღონდ მხოლოდ საკლუბო დონეზე. დიდებულიძე ახლა საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის „მასში“ რაგბობს და ახლახან წინ შერკინების მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა.

ბაჩო სვანიძე



ტიმ ლეინი



ლევან ცაბაძე



ვიქტორ დიდებულიძე




საქართველოსი არ იყოს, საწყისი ოთხი მატჩიდან სამს ჩერნოგორიაც შინ ითამაშებს. თვალის ერთი გადავლებით ურიგო კალენდარი არც ამ ნაკრებს აქვს, მით უმეტეს, ეს ახალი გუნდი ბოლო სამი ტურიდან ორს შინ ჩაატარებს, მათგან ერთს ჩვენებთან. მიუხედავად ამისა კი, ჩერნოგორიელთა მწვრთნელი სოფიური შედეგებით არც ისე კმაყოფილია და ამბობს, უკეთესიც შეიძლებოდაო. ჩერნოგორიელთა თავკაც ზორან ფილიპოვიჩს გუშინ დავუკავშირდით და ეს მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ...

# ახლა მთავარია, ვითამაშოთ

## ფილიპოვიჩს იტალიის მერე საქართველო არ მოეწონა

— კალენდრის კმაყოფილი ხართ?

— როგორ გითხრათ, შეიძლებოდა, უკეთესი კალენდარი გვქონოდა, თუმც არც ესაა ურიგო. ახლა ველარაფერს შევცვლით. უნდა ვითამაშოთ და ჩვენი სიძლიერე თამაშით დავამტკიცოთ. ცხადია, კარგი იქნებოდა, მეტოქეები იმ ვარიანტზე დაგვთანხმებოდნენ, რომელიც ჩერნოგორიამ სოფიაში ჩაიტანა, მაგრამ ეს არ გამოვიდა, რალაც-რალაცების დათმობამ მოგვიწია.

— როგორ ფიქრობთ, ეს კალენდარი ყველაზე მეტად რომელი გუნდისთვისაა მისაღები?

— არა მგონია, რომელიმე გუნდისთვის იდეალური კალენდარი იყოს, მოლაპარაკებებისას ყველამ რალაც დათმო, ჩვენც, საქართველომაც, იტალიამაც– ბევრი კამათი იყო. შეიძლებოდა, შეხვედრა ჩაშლილიყო კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც მოვრიგდით და კარგია, რომ საქმე ფიფამდე აღარ მივიდა.

— 28 მარტს იტალიას მასპინძლობთ, 1 აპრილს კი საქართველოში უნდა ითამაშოთ. რას იტყვით?

— შესარჩევ ჯგუფში იოლი მატჩები არ იქნება და, ცხადია, არც საქართველოსთან თამაშია გამონაკლისი. ყველაფერი კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული, როგორი მომზადებულიც შევხვდებით მატჩებს, შედეგებიც შესაბამისი გვექნება. ისე, რა თქმა უნდა, იტალიასთან მატჩი ბევრ ენერგიას წაიღებს და საქართველოსთან საქმეს ეს კიდევ უფრო გაგვირთულებს.

**კობა ინასარიძე**

# ჩვენ ვიცით ჩვენი ადგილი

**ჩერნოგორიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი დეიან სავიჩევიჩი, მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას არარეალურად მიიჩნევს.

ჩერნოგორიელები ჩვენი მეტოქეები არიან და სოფიაში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მე-8 ჯგუფის კალენდრის დადგენის შემდეგ, ბულგარულ ინტერნეტ-გამოცემა TOPSPORT-თან საუბარში სავიჩევიჩმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, ჩერნოგორიისთვის ჯგუფში მე-3 ან მე-4 ადგილის დაკავება სავსებით რეალური და დამაკმაყოფილებელი შედეგი იქნება.

„ჯერ ახალგაზრდა ფედერაცია ვართ და არ ვფიქრობ, რომ შესაძლოა, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ცხადია, ოცნების უფლება ყველას აქვს, მაგრამ უფრო რეალისტები ვართ“ — განაცხადა სავიჩევიჩმა.



**კახა შალამბერიძე**

# ღვინიანიძეს ნელ-ნელა ტვირთავენ




**გერმანული** „მიუნხენ 1860“-ის ქართველი მცველი მათე ღვინიანიძე მენისკის ოპერაციის შემდეგ თითქმის სრულად გამოჯანმრთელდა. მართალია, ექიმები ჯერ ბოლომდე დატვირთვას ერიდებიან და ვარჯიშებზეც ინდივიდუალური პროგრამით ამზადებენ, მაგრამ ჩვენებურს „ტენერიფესთან“ თამაშის უფლება მაინც მისცეს.

ბავარიელები შეკრებას ესპანეთში გადიან და იქაურ „ტენერიფესთან“ ორი მატჩი გამართეს (1:3 და 0:1). ღვინიანიძემ მეორე შეხვედრაში ითამაშა და მოედანზე 60 წუთი დაყო.

ექიმების ვარაუდით, მათეს უახლოეს დღეებში სრული დატვირთვით ვარჯიშის უფლებას მისცემენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ციმაკურიძე არ ხუმრობს

**სიმფეროპოლის** „ტავრიაში“ გასინჯვაზე მყოფი ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე ლამის თავდამსხმელად იქცა და ზედიზედ მეორე მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს.

გეხსომებათ, ციმაკურიძემ სამიოდე დღის წინ თანამემამულეებიც არ დაინდო და რუსთავის „ოლიმპს“ გაუტანა. გუშინ კი „ტავრიამ“ მისი ერთადერთი გოლით უზბეკურ „კურუვჩის“ მოუგო.

ციმაკურიძემ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე ლუგანსკის „ზარიაში“ გაატარა და ამ კლუბმა მასთან ხამომავლო ურთიერთობა აღარ ისურვა. ქართველმაც სწორედ ამის შემდეგ მიაკითხა „ტავრიას“ და თუ ასე გააგრძელა, ციმაკურიძესა და სიმფეროპოლელებს შორის კონტრაქტის გაფორმებას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველიამ ორ ქართველს მოუგო

**ნალჩიკის** „სპარტაკმა“ თურქულ სიდეში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და ადგილობრივ ქვედალიგელ „ზეიტინბურნუსფორს“ 4:0 მოუგო.

ნალჩიკელებს საკმაოდ ხშირი მატჩების განრიგი აქვთ და მწვრთნელი იური კრასნოჟანი ყველა ფეხბურთელს თანაბრად ტვირთავს. ეს ქართველებსაც შეეხოთ — ალექსანდრე ამისულაშვილმა 30-ედან მე-60 წუთამდე ითამაშა, გოგიტა გოგუამ კი — სრული მეორე ტაიმი.

გუშინ კი ანთალიაში ქართველთა გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დავით კვირკველიას ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ 2:0 მოუგო ამისულაშვილ-გოგუას „სპარტაკს“.

ყაბარდოელთა ქართველებმა თითო ტაიმი ითამაშეს, კვირკველიამ კი 55 წუთი.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ უახლოეს დღეებში გოგუა და „სპარტაკი“ საბოლოო შეთანხმებას მიაღწევენ და ახალი სეზონისთვის კონტრაქტსაც გააფორმებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დავით კვირკველია

## ინგლისი

II ლიგა
გადადებული მატჩი
ჩესტერფილდი 3:4 როჩდეილი

ასოციაციის თასი
III ეტაპი. გადათამაშება
ჰავანტი 4:2 სუონსი
ჰერეფორდი 1:0 ტრანმერი
ნიუკასლი 4:1 სტოკი
სიტი 1:0 ვესტ ჰემი

## ესპანეთი

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
ესპანიოლი 1:1დ.დ.(3:4პ) ბილბაო (1:1)
ლევანტე 0:1 ხეტაფე (0:3)
რასინგი 4:2 სარაგოსა (1:1)
ვალიადოლიდი 1:1 ატლეტიკო (0:0)
ვილიარეალი 2:0დ.დ. უელვა (0:1)
რეალი 0:1 მალიორკა (1:2)
ვალენსია 2:1 ბეტისი (2:1)

## საფრანგეთი

ლიგის თასი
1/4 ფინალი
ლე მანი 1:0 ლიონი
პსჟ 4:0 ვალანსიენი
ლანსი 3:0 ნანსი
ოსერი 1:0 მარსელი

## ამხანაგური მატჩები

სტარტი 2:1 მადურეირა
დუისბურგი 1:2 ნიურნბერგი
ვოლფსბურგი 1:1 აუგსბურგი
სენტ გალენი 0:1 კარლ ცაისი
დელემონი 4:5 თუნი
ბაჰრეინი 1:0 ქუვეითი
სამხ. აფრიკა 2:1 ბოტსვანა
ჰანზა 6:2 ემდენი
კოტბუსი 3:1 ოცელული
ტენერიფე 0:1 მიუნხენი
მალაგა 0:1 დორტმუნდი
მაროკო 2:1 ანგოლა
ტუნისი — ირანი გადაიდო

## შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
გრეტნა 1:2 რეინჯერსი
ასოციაციის თასი. IV ეტაპი
კლაიდი 0:1 დანდი იუნ.

## ბელგია

II კლასი
გადადებული მატჩი
ბევერენი 2:0 ლომელი

## იტალია

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები
პალერმო 0:1 უდინეზე (0:0)
ფიორენტინა 2:0 ასკოლი (1:1)
კატანია 1:1 მილანი (2:1)
სამპდორია 4:0 კალიარი (0:1)
რომა 4:0 ტორინო (1:3)

## ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩი
გრააფსხაპი 1:2 ალკმაარი
თასის 1/8 ფინალი
ჰერაკლესი 1:0 დენ ბოსხი
კვიკ ბოისი 1:1დ.დ.(3:1პ) იონგ ჰერენვენი
ბრედა 4:2 აიაქსი

## თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი
A ჯგუფი. IV ტური
ანკარა 0:0 რიზე
ანკარაგიუჯიუ 1:1 ბეშიქთაში
B ჯგუფი. IV ტური
მანისა 2:1 კირიკალე
C ჯგუფი. IV ტური
ქაისერი 5:0 ალანია
ფენერბაჰჩე 3:2 შანლიურფა
D ჯგუფი. IV ტური
ბურსა 1:0 ოფთა

## საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი
ასტერასი 0:1 ატრომიტოსი
ოლიმპიაკოსი 4:0 პანათინაიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ილბლიანად დაიწყო ეს წელიწადი ალექსანდრე იაშვილისთვის — მინი-ტურნირში მისმა „კარლსრუემ“ ჩემპიონობა მოიპოვა, თვითონ „აკუნა“ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ამასთან, გუნდის კაპიტანიც გახლდათ. ბუნდესლიგაში შესვენებაა, მანამდე თითქმის ყველა გერმანული კლუბი თბილ ქვეყნებშია შეკრებაზე და ალექსანდრე იაშვილსაც გუშინ თურქეთში დავუკავშირდით...

# კაპიტნობა მომიხდა

## ალექსანდრე იაშვილი: ჩემი ძირითადი მიზანი კარლსრუეს ძირითადია

— სამი დღეა, კურორტ ბელეკში ვარ. ნაყოფიერი ვარჯიში გვაქვს და ერთი ტესტ-მატჩიც გავმართეთ. მეორე ბუნდესლიგის „ვეენს“ 3:1 მოვუგეთ. ხვალ კი ასევე მეორებუნდესლიგელ „ფიურტს“ შევხვდებით.

— მინი-ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელეს და გუნდის კაპიტანიც იყავი...

— კაპიტანი არ იყო იმ მატჩებში და მე მომცეს სამკლავური. ეტყობა, მომიხდა — კარგად ვითამაშე.

— როგორ ატყობ, მეორე წრეში „კარლსრუეს“ ძირითადში დამკვიდრდები?

— იმედი მაქვს. კონკურენცია დიდია, გუნდში ბევრი შემტევი ფეხბურთელია და მეც უნდა ვიშრომო. დანარჩენს კი მწვრთნელი გადაწყვეტს.

— „კარლსრუეს“ ერთი თავდამსხმელიც შეემატა. კიდევ იგეგმება რამე ცვლილება?

— ფორვარდი ჯოშუა კენედი დაგვემატა, სხვა ახალი არაფერია. კენედი ცენტრფორვარდია, მე კი პირველი წრის უმეტეს მატჩებსა და „ვეენთან“ ამხანაგურშიც მარცხენა შემტევად ვთამაშობ. ასე რომ, ჩემს პოზიციაზე არც ნამატია და არც არავინ წასულა. არა მგონია, ბუნდესლიგის განახლებამდე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს შემადგენლობაში.

— „კარლსრუეს“ მიზანი რა არის ამ სეზონში?

— უეფას თასზე გასვლა. თავიდან კლუბის ხელმძღვანელობა ათეულში შესვლას ისახავდა მიზნად, მაგრამ გამოჩნდა, რომ მეტი შეგვიძლია.

— შენი ყოფილი თანაგუნდელის, ოთარ ხიზანეიშვილის შესაძლო ტრანსფერზე ხომ არაფერი გაგიგია?

— არა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ოთარი ახლაც „ფრაიბურგშია“.

— საქართველოს ნაკრები შენთვის მტკივნეული თემაა — ბოლო მატჩებში აღარ გიძახებდნენ. ხომ არ დაგკავშირებია კლაუს ტოპმიოლერი?

— ას შემხმიანებია. რას ვიზამ, ახლა ჩემთვის მთავარია, „კარლსრუეში“ უფრო კარგად ავთამაშდე.

**ილია ნანობაშვილი**

# ისევ: მხოლოდ სალუქვაძე

**მორიგი** საკონტროლო მატჩი გამართა თურქულ შეკრებაზე მყოფმა ყაზანის „რუბინმა“. ამჯერად სათათრეთის გუნდი სამხრეთკორეულ „იონსეის“ შეხვდა და 0:1 დამარცხდა

შემადგენლობაში არ გამოჩენილა ნუკრი რევიშვილი, ლაშა სალუქვაძე კი 90 წუთი გაისარჯა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯაკობია თამაშში და თამაშგარეთ



**გუშინდელ** „სარბიელში“ გამცნეთ, რომ ექიმები პოლტავის „ვორსკლას“ ახალწვეულ ლაშა ჯაკობიას ახლახან გადატანილი მწვავე რესპირატორული ინფექციის გამო ინდივიდუალურად ტვირთავენ, თუმც გუშინვე უფლება მისცეს, ყაზახურ „კაირატთან“ საკონტროლო მატჩში ეთამაშა.

ჯაკობია შესვენების შემდეგ შევიდა მოედანზე და 68-ე წუთზე შეცვალეს.

ამ 22 წუთში ქართველმა თავდამსხმელმა გოლის გატანაც მოახერხა, მაგრამ მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გააუქმეს. მატჩი კი ყაზახებმა 2:1 მოიგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები შემცირებაში

**გუშინ** ვწერდით, კიევის „დინამო 2“-ის მწვრთნელმა იური კალიტვინცევმა „თანამეგობრობის თასზე“ დავით იმედაშვილი და თემურ ფარცვანია წაიყვანაო. ისინი მართლაც იყვნენ სიაში, თუმც კალიტვინცევმა შემადგენლობიდან რამდენიმე ფეხბურთელი ამოშალა და „შემცირებაში“ ორივე ქართველი მოჰყვა.

ფარცვანია ისევ „დინამო 2“-ში გააგრძელებს კარიერას, აი, იმედაშვილის მომავალი კლუბი კი ჯერ უცნობია.

დიდი შანსია, ყოფილი ვიტჯორჯიელი უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ წავიდეს.

**ილია ნანობაშვილი**

# ხუთი ქართველი დაღესტანში

## ჯიქია ანჟიშია, ხოჯავამ კი კორეელებს გაუტანა

**საინტერესო** ამბავია: მახაჩყალის „ანჟი“ ყველაზე ქართული გუნდი გახდა რუსეთში.

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ომარ თეთრაძის გუნდმა სამხრეთ კორეის „იუონსეუსთან“ 2:3 წააგო და ამ მატჩში ხუთმა ქართველმა ითამაშა — გოჩა ხოჯავამ, მიხეილ აშვეთიამ, ვალერი აბრამიძემ, რევაზ ჯიქიამ და ზურაბ არზიანმა.

ამ ხუთეულიდან შარშან მხოლოდ ხოჯავა და არზიანი იყვნენ გუნდში. აშვეთია-აბრამიძეც დაღესტანში ვარჯიშობდნენ, თუმც წლის ბოლოს გააფორმეს კონტრაქტი,



გოჩა ხოჯავა

ხოლო ჯიქიამ რუსთავის „ოლიმპიდან“ მიაშურა „ანჟის“.

„თეთრაძემ, ცოტა არ იყოს, ექსპერიმენტული შემადგენლობა დააყენა. ახალი სახეა თავდამსხმელი ჯიქია, რომელიც ქართველია, მაგრამ რუსეთის მოქალაქეობა აქვს“ — წერს „ანჟის“ ვებგვერდი.

რაც შეეხება მატჩს, „ანჟი“ ორჯერ აგებდა, ორჯერვე გაათანაბრა და მაინც გაუშვა მესამე გადამწყვეტი.

ორივე გოლი ქართველებმა გამოადნეს: ჯერ მიხეილ აშვეთიამ მიითვალა საგოლე პასი, მერე კი გოჩა ხოჯავამ შეაგდო.

ერთიც: იყო ლაპარაკი, არზიანი ყაზანის „რუბინს“ დაუბრუნდაო, თუმც ის კვლავაც „ანჟიშია“ და, სავარაუდოდ, იქვე დარჩება.

**ილია ნანობაშვილი**

# მუჯირი დაშავდა

**სამარის** „კრილია სოვეტოვმა“ ორი საკონტროლო მატჩი გამართა და არც ერთში არ უთამაშია ქართველ ლეგიონერ დავით მუჯირს.

მისი უთამაშებლობის მიზეზს კი გუშინ სამარელთა ოფიციალურ ვებგვერდზე მივაგენით — მუჯირს ტრავმა აწუხებს და გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს.

„კრილია სოვეტოვის“ ექიმების რჩევით, მუმუ ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და როდის შეუერთდება გუნდს, ჯერაც უცნობია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეორე დღე და 1:3

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა ბაქოური ტურნირის მეორე მატჩი გამართა და ისევ 1:3 დამარცხდა.

ამჯერად პეტრე თაბუკაშვილის შეგირდებს მასპინძელმა აზერბაიჯანმა აჯობა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ჩვენებმა 1:3 დათმეს ყაზახეთის ნაკრებთან და ორი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე არიან მონაწილე ოთხ გუნდს შორის.

ახლა ჩვენებს ერთი მატჩი დარჩათ — ბაქოს ნაკრებთან და თამაშის დასრულებისთანავე თბილისში დაბრუნდებიან.

**კახა შალამბერიძე**

# სანდრომ ერთი იკმარა

**სანდრო იაშვილმა** „თუნის“ ხუთი გოლიდან ერთი მიითვალა.

სანდროს გუნდმა ამხანაგურ მატჩში 5:4 მოუგო შვეიცარიის ჩელენჯლიგელ „დელემონს“.

„თუნის“ ვებგვერდის ცნობით, იაშვილი ძირითადში გახლდათ.

მომდევნო მატჩს „თუნი“ 19 იანვარს გერმანულ „დუისბურგთან“ გამართავს.

**ილია ნანობაშვილი**




# ხიზანეიშვილის ცალი ტაიმი

**ოთარ ხიზანეიშვილის** „ფრაიბურგი“ ამხანაგურად „ოფენბახს“ გაეჯიბრა და 4:1 მოუგო. ფრაიბურგელთა მწვრთნელმა ორი შემადგენლობა ათამაშა.

„ხიზანეიმ“ პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც „ფრაიმ“ 3:0 მოიგო.

კლუბის ვებგვერდის ცნობით, ქართველმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ერთხელ გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.





# ვიტურის ვარჯიშში

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ დღეიდან კი აპირებდა მცხეთაში შეკრებაზე გადასვლას, მაგრამ როგორც მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ გვითხრა, იქაც თოვლია და წვრთნას ისევ 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გააგრძელებენ.

გუშინდელი ვარჯიში საათნახევრიანი იყო. თავიდან ძუნძული, ბურთთან ერთად მოთელვა, კვადრატი და 15-წუთიანი ორკარა...

ჩვეულებრივ აგრძელებენ გუნდთან ერთად წვრთნას ნიკა გელაშვილი და პაატა დათუნაიშვილი, რომლებიც საზღვარგარეთ წასვლას ლამობენ. გელაშვილმა გვითხრა, ბელგიურ „მეხელენთან“ ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში თუ არ გადაწყდა რამე, ალბათ მეორე წრეშიც „ვიტ ჯორჯიაში“ დავრჩებიო. პაატა დათუნაშვილის აგენტი კი მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქულ „რიზესპორთან“ და ესეც რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს.

გუშინდელ ვარჯიშზე არ ყოფილა საქართველოს ეროვნული გუნდის წევრი ალექსანდრე კვახაძე, თუმც მიზეზი საპატიოა — უნივერსიტეტში გამოცდა ჰქონდა და მწვრთნელმაც გაათავისუფლა.

კვლავ „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ემზადება საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია, რომელიც კარგა ხანია, უგუნდოდაა და ისიც თავისი აგენტის სიტყვას ელის.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ახალი და უცნობი ქართველი ნეფთჩიში

**ბაქოს** „ნეფთჩიში“, რომელიც შეკრებას ანთალიაში გადის, უცნობი ქართველი ფეხბურთელი თემურ ხაჯილაძე ისინჯება.

აზერბაიჯანული AZERISPORT-ის ცნობით, ხაჯილაძემ დღეს ბაქოურ გუნდში კრივოი როგის „კრივბასის“ წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა, რომელიც „ნეფთჩიმ“ 2:1 მოიგო.

ჯერჯერობით გაურკვეველია, დარჩება თუ არა იგი გუნდში — ამის თაობაზე ბაქოელთა მთავარი მწვრთნელი ანატოლი დემიანენკო გადაწყვეტილებას უახლოეს ხანში მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ „ნეფთჩიში“ ერთი ქართველი, თავდამსხმელი გიორგი ადამია უკვე ორი წელია, თამაშობს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება.

**კახა ზალამბერიძე**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი „ზესტაფონი“ თბილისშია და მეორე წრისთვის ემზადება. იმერლებმა ერთი შეკრება ბაკურიანში გაიარეს და თბილისში დაბრუნდნენ. „ზესტაფონი“ პირველი წრის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და საინტერესოა, მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს რა გეგმები აქვს სამეორეწრეოდ...



# გაძლიერებას კიდევ ვაპირებთ
## თემურ მახარაძე: „უცუდესი მატჩი დინამოსთან გვქონდა“

— ვარჯიში 20 დეკემბერს დავიწყეთ, შემდეგ რამდენიმე დღე საახალწლოდ დავისვენეთ და 5 იანვარს ბაკურიანში წავედით. წვრთნა მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმო. იქ ერთი კვირა დავყავით და 13 იანვრიდან თბილისში ვართ — დიღმის მანეჟში ვვარჯიშობთ.

— შესვენებაზე გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა...

— კონტრაქტი დაუმთავრდა კახა ჩხეტიანს და წასვლა თავად ითხოვა. მინდა ვთქვა, რომ კახამ ჩვენი გუნდისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა და მას ამისათვის მადლობას ვუხდით. გოგი ფიფია „დნიპროშია“, გიორგი ჭელიძე კი თავის გუნდს, მოსკოვის „ლოკომოტივს“ დაუბრუნდა.

— შესაძლოა, გიორგი ჭელიძე ისევ დაბრუნდეს?

— არ ვიცი, წინაწარ ვერაფერს გეტყვით.

— ალბათ, მათ ნაცვლად შევსებას მიიღებთ...

— ფეხბურთელების დამატებას ვაპირებთ. ჩვენთან ერთად რამდენიმე დღე იყო ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ფორვარდი ერიკ რომეო ჩასემი. კლუბები შევთანხმდით, მაგრამ ფეხბურთელმა არარეალური თანხა მოითხოვა და ეს ტრანსფერიც ჩაიშალა. მალე ბრაზილიიდან დაგვიბრუნდება ედსონ სანტოსი, რომელიც ჩვენი საკუთრებაა. ცხინვალის „სპარტაკიდან“ დავიბრუნეთ ბახტურიძე, რომელიც ანთალიაში წამოგვყვება, ასევე განათხოვრებულნი, ირაკლი ძარია და დავით ჯანელიძე კი ისევ „სპარტაკში“ დაბრუნდნენ.

— ტესტ-მატჩების გამართავს არ გეგმავთ?

— დღეს გვინდოდა, „გაგრასთან“ გვეთამაშა, მაგრამ მოედანი გაყინული იყო და არ მოხერხდა. 18 იანვარს ვგეგმავთ თამაშს „სპარტაკთან“, 20-ში „სიონთან“ და 22-ში აზერბაიჯანულ „სიმურგთან“.

— უცხოურ შეკრებაზე როდის მიდიხართ?

— ანთალიაში 24 იანვარს გავემგზავრებით.

— პირველი წრის ბოლო ტურის მატჩზეც მინდა, გკითხოთ. თბილისის „დინამომ“ გაცილებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ულაპარაკოდ დაგამარცხათ. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა მაშინ?

— „დინამომ“ მართლა კარგად ითამაშა, „ზესტაფონმა“ კი სეზონში უცუდესი მატჩი გამართა.

— საქართველოს თასის მეოთხედფინალში კი რუსთავის „ოლიმპს“ შეხვდებით...

— რუსთაველები კარგი სათამაშო პრაქტიკით დაბრუნდებიან საქართველოში. ისინი ხომ „თანამეგობრობის თასზე“ გამოდიან. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე უკრაინელი ფეხბურთელი შეუმატებიათ და კარგი გუნდი იქნება. თქმა არ უნდა, მძიმე ბრძოლები გველის.

— თქვენი მიზანი კი ჩემპიონობა და თასია...

— ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ. პროგრამა-მინიმუმი ევროთასზე გასვლაა და ვნახოთ...

**ნუგზარ ლოლაძე**

# ცხადაძეს ბაქოში ნავალოვსკი მიჰყავს

**დიდი** ხანი არ არის, რაც კახა ცხადაძე აზერბაიჯანული „სტანდარტის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი თანაშემწეც ქართველია, ბადრი კვარაცხელია და, როგორც იქაურ პრესა იუწყება, მალე ქართველთა რიცხვი კიდევ გაიზრდება — ლაპარაკია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელ გიორგი ნავალოვსკიზე, რომელიც ბოლოს რუსთავის „ოლიმპში“ თამაშობდა, მაგრამ პირველი წრის დასრულების შემდეგ კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.




კიდევ ერთი ოლიმპელი, ვლადიმერ დვალიშვილი დღეს გაემგზავრა რიგაში და, სავარაუდოდ, „სკონტოსთან“ კონტრაქტსაც მოაწერს ხელს.

**ნუგზარ ლოლაძე**

# პლუსი უქმე საქართველოს

„ფიფა-კოკა-კოლამ“ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. გასულ თვეში სანაკრებო თამაშები არ გამართულა და ამიტომაც რეიტინგში უმნიშვნელო ცვლილებებია.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთი ადგილით წინ წაიწია და ახლა ალჟირელებთან ერთად 76-ე ადგილზეა.

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ქართველთა მეტოქეთაგან ცვლილება კიდევ ორ გუნდს, ირლანდიასა და კვიპროსს შეეხო — „სამყურებმა“ ერთი ადგილით დაიწიეს, სამხრეთელებმა კი პირიქით, ერთით აიწიეს.

უცვლელია პირველი ათეული: პირველ ორ ადგილზე სამხრეთამერიკელები არიან — არგენტინა 21 ქულით უსწრებს ბრაზილიას. მათ კი კვალდაკვალ ჩვენი მეტოქე იტალიელები მისდევენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1523 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1502 |
| 3 | 3 | *იტალია* | 1498 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 1349 |
| 5 | 5 | გერმანია | 1305 |
| 6 | 6 | ჩეხეთი | 1290 |
| 7 | 7 | საფრანგეთი | 1243 |
| 8 | 8 | პორტუგალია | 1241 |
| 9 | 9 | ჰოლანდია | 1170 |
| 10 | 10 | ხორვატია | 1129 |
| 18 | 18 | *ბულგარეთი* | 881 |
| 36 | 35 | *ირლანდია* | 731 |
| 65 | 66 | *კვიპროსი* | 493 |
| 76 | 77 | **საქართველო** | 414 |
| 172 | 172 | *ჩერნოგორია* | 65 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

## ეხ, ბურთიდან ფეხბურთამდე






# დიდი ქალაქის ჩირაღდნები

### ილია ბაბუნაშვილის ფურცელი

სჯობს, ისევ საქმეს მივხედოთ, თორემ, მარტო პოლიტიკის შემყურეთ, ემანდ, ბევრი რამ განზე არ დაგვრჩეს. რალა დაგიმალოთ და, რატომღაც ეჭვი მაქვს, დალოცვილ ღმერთს ეს ქვეყანა სხვა რალაცებისთვისაც უნდა ჰქონდეს მოგონებული. ერთი სიტყვით, ბოლო დროის საარჩევნო სიცხისა და ზამთრის ყინვისგან დაგრეხილ კალამს ხელი მოვკიდე და იმ თემას დავუბრუნდი, დეკემბრის წერილში გაკვრით რომ შევეხე. თემა ასეთია: თვალისმომჭრელად ბრწყინავს და კაშკაშებს თანამედროვე ევროპული ფეხბურთი. მის შემყურეთ, საქართველოს ჩემპიონატისკენ თავის მოსატრიალებლად იმ საბრალო თავისთვის ძალის დატანება ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ერთი წამით ევროალფრთოვანებისგან დალებული პირები დავხუროთ, ჩამოვარდნილი ყბები ადგილზე დავაბრუნოთ და განსჯას მივეცეთ. სულო ცოდვილო და, იქნებ მოვიფიქროთ, რა უნდა მოვიმოქმედოთ, ფეხბურთმა ჩვენთანაც რომ გაიბრწყინოს...
ნუ, თუ არ გაიბრწყინოს, გაილაპლაპოს მაინც...

**რასაკვირველია,** უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ ქართულმა ფეხბურთმა ივარგოს, საჭიროა, ქართველმა ფეხბურთელებმა ითამაშონ კარგად.

ამასწინათ, ერთმა ძალიან კარგმა ადამიანმა იმერულად იხუმრა, ჩვენს ჩემპიონატში ხანდისხან ნამეტანი ჩქარა რომ გეიქცევიან, მეშინია, გული არ გოუჩერდეთო.

ერთი სიტყვით, უპირველეს ყოვლისა, საკითხის „კარდიოლოგიური მხარეა“ მისახედი, მაგრამ ცხოვრება ისეთი რამ გახლავთ, ყოველ საკითხს რამდენიმე მხარეს აბამს და მერე ხან აქედან მიუდგება და ხანაც იქიდან. ზუსტად ასეა ფეხბურთშიც.

აუცილებელი ჩანართი: ევროპა, ბატონებო, დიდია! ჩემპიონატები, რომლებიც ასე გვჭრიან თვალს, არც ჩეხეთისაა, არც ბელგიის, არც ნორვეგიის, არც დანიის, არც პოლონეთის, არც სლოვენიის, არც სლოვაკეთის, არც სერბეთის, არც ავსტრიის და ასე შემდეგ. თვალს რომ გვჭრის, ინგლისის, ესპანეთის, გერმანიისა და იტალიის ლიგებია. დიდი-დიდი, ამ ოთხეულს კიდევ ერთი-ორი მიემატოს, ისიც ისე რა...

ჰოდა, აქედან დასკვნა: როდესაც ევროსტანდარტთან მიახლოებაზე ვლაპარაკობთ, მარშით პრემიერლიგის სიმაღლეზე ავარდნას სულაც არ ვგულისხმობთ. სხვა ამბავია, რომ პრემიერლიგის მაგალითი თვალსაჩინოა და ამიტომ, მოდი, ეს დიდებული პირველობა რამენაირად ჩვენს ლიგას დავაკავშიროთ.

მაგალითად, ასე: როგორ ფიქრობთ, პრემიერშიფსა და საქართველოს ჩემპიონატს ადგილები რომ გავუცვალოთ, რამდენ ხანში დაეზღერთება ნაქები ინგლისის ჩემპიონატი ჩვენს დონემდე?

აი, თქვენი ნებართვით, ამ მხრიდან გვინდა, საკითხს მივუდგეთ.

ესე იგი, ერთი მხრივ მოედნები, ტრიბუნები, თანაც სავსე, მოედნის გარშემო სარეკლამო დაფები, ტელერეპორტაჟები, ტელემიმოხილვები, ტელეანონსები, საგაზეთო ინტერვიუები, საგაზეთო მიმოხილვები, საგაზეთო ანონსები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. მეორე მხრივ კი, შეუღებავი ცალტრიბუნიანი სტადიონები, რომლის მეორე მხარეს საძოვარი ჩანს, ერთადერთი კამერით გადაღებული დუნე რეპორტაჟის დროს კადრში გამოჩენილი ნახირი, სახიფათო მომენტის ვერგამეორება, ანაც გამეორება იმ ერთადერთი, „მრავალტანჯული“ რაკურსით, საიდანაც ეპიზოდი ცუდად ჩანს, ოცდაათი-ორმოცი მაყურებელი, რომელიც იგინება და ბევრი, ბევრი სხვა.

აი, ახლა კი ინგლისისა და საქართველოს ჩემპიონატები გაცვალეთ, პირველ გარემოში ქართული გუნდები ჩასვით, მეორეში ინგლისური. ამოცანა გვეკითხება, რამდენ ხანში ავა პირველი მეორის სიმაღლეზე და რამდენ ხანში ჩავა მეორე პირველის დონეზე?

გესმით, ხომ, ჩემი? კატეგორიულად ვაცხადებ, ვიცი, რომ ფეხბურთი არც ტელეკამერაა, არც ტრიბუნა და ასე განსაჯეთ, არც მოედანი, ფეხბურთი ისაა, რასაც ფეხბურთელი თამაშობს, მაგრამ ფეხბურთს, როგორც ადამიანთა საქმიანობის სფეროს, მრავალი მხარე აქვს და ვშიშობ, რომ ყველა მნიშვნელოვანია.

არ დამავიწყდება, ერთი ჩვენებური ფეხბურთელის სიტყვები, სალამოს ცხრა საათზე თამაში რა კარგი ყოფილა, მოედანზე პროჟექტორის შუქი რომ დავინახე, ფრთები შემესხა და იმ დღეს ჩვეულებრივზე გაცილებით უკეთესი ვიყავიო.

ვადასტურებ, იყო!

მგონი, ამ თითქოსდა მხოლოდ საფეხბურთო ლაპარაკისას თანამედროვე ქართულ პრობლემას მივადექით: ფასადის შეღებვა თუ შენობის შიგნიდან გარემონტება?

მე თუ მკითხავთ, ორივე. დეილ კარნეგი კი თავისი უკვდავი რჩევების წიგნში წერს, რომ რთული მდგომარეობიდან გამოსვლა ერთი ასეთი შემოწმებული მეთოდითაც შეიძლება: ვთქვათ, რალაცის გეშინიათ. როგორ უნდა სძლიოთ შიშს? როგორ და, უნდა მოიქცეთ ისე, თითქოს მხნედ ბრძანდებით. გესმით, ხომ? სინამდვილეში გეშინიათ, მაგრამ როლს თამაშობთ. მაგალითად, ვაჟკაცური ნაბიჯით მიდიხართ, სკამზე უდარდელად ჯდებით და სხვა.

თურმე ასეთ დროს ადამიანის ქცევა განწყობაზე გადადის და შიში ქრება.

და განა ეს წესი მხოლოდ შიშის შემთხვევაში მოქმედებს? არა, შიში, უბრალოდ, მაგალითისთვის იყო მოტანილი. „ვითომ, ვითომ“-ის წესი ათასნაირი პრობლემის მოგვარებაში შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, შეგვიძლია, ქვეყანაში ფეხბურთის ხარისხის ასაწევად „პრემიერლიგურად“ დავიწყოთ ქცევა. დავიწყოთ ლამაზი ფორმების შეძენა, მოვიზიდოთ სპონსორები, რომელთა რეკლამა მოედნის გარშემო დაფებს დაამშვენებს, დავიწყოთ ტელემიმოხილვები (რამდენადაც ვიცით, სულ მალე ეს რეალობა იქნება), დავხვეწოთ რეპორტაჟი, შევქმნათ სერიოზული ფანკლუბები, რათა სტადიონებზე მარტო ბილწმა ძიებმა კი არ იარონ, დროშიანმა გოგო-ბიჭებმაც იხმაურონ და ჩვეულებრივმა ქომაგმაც სიხარულის თავისი წილი მიიღოს, გაზეთებში ეროვნულ ჩემპიონატს მეტი ფართობი დავუთმოთ და...

მერწმუნეთ, გარემო, რომელიც ამ შემთხვევაში შეიქმნება, საკუთრივ ფეხბურთელების ოსტატობაზეც იმოქმედებს. იმოქმედებს კი არა, ეს ნამდვილი ზურგის ქარი იქნება და ჩვენი ფეხბურთის განვითარების ტემპი, სულ მცირე, გაორმაგდება მაინც...

თუ გვინდა, რასაკვირველია.

# ხუთასიან კარაგერს ხუთი აჩუქეს


სტივენ ჯერარდმა ჰეთ ტრიკი შეასრულა

„ბითლზის“ ქალაქში ჩასულს სულ სხვა პლანეტა დამხვდა. ქალაქმა იმ სათასო დღეს ფეხბურთით გაიღვიძა, იცხოვრა და დაიძინა.

„ლივერპული“ მესამე დივიზიონის „ლუთონს“ კი ეთამაშებოდა, მაგრამ სტადიონი მატჩამდე ერთი საათით ადრე სავსე იყო. „კოპებში“ ვიჯექი. გიჟური ქომაგობა იციან. „კოპების“ ერთი ნაწილი 90 წუთის განმავლობაში არ დამჯდარა. რაფაელ ბენიტესი ძალიან უყვართ. მისი გაშვების წინააღმდეგნი არიან და მხარდასაჭერად უმღეროდნენ.

ათი დღის წინ ლუთონში რაფაელ ბენიტესის გუნდმა ფრე (1:1) ითამაშა და ესპანელმა მწვრთნელმა ამჯერად უძლიერესი შემადგენლობა გაიყვანა.

„ლუთონი“ პირველი ტაიმის ბოლომდე გაუძალიანდა მასპინძლებს, მაგრამ რაიან ბაბელმა მაინც გამოატანინა ბურთი კარიდან დინ ბრილს. შესვენების შემდეგ ჯერარდმა სხვაობა ორამდე გაზარდა, რასაც ჰიპიას მესამე მოჰყვა. ამის მერე კი „ლივერპულის“ ლიდერი იშტაზე მოვიდა და კიდევ ორი გაუტანა დაჩაგრულ სტუმრებს.

ჯეიმი კარაგერმა მე-500 მატჩი ითამაშა „ლივერპულში“ და პატივისცემის ნიშნად კაპიტნის სამკლავური ანდეს. ქომაგებმა მისი დიდი სურათი ააფრიალეს, გუნდებმა კი მოედანზე გასვლისას და მატჩის მერეც დერეფანი გაუკეთეს.

„ლუთონმა“ 0:5 კი წააგო, მაგრამ მისმა გულშემატკივრებმა ბოლომდე უერთგულეს. ნამატჩევს გუნდი საკუთარი ფანების ტრიბუნასთან მივიდა და ტაშიც მიიღო.

„პირველ გოლამდე ცოტა გვიჭირდა, მერე კი გუნდი გაიხსნა და ლაღად ათამაშდა — თქვა ბენიტესმა ნამატჩევს — მეტოქე მთელი გუნდით დაცვაში იდგა და ასეთ ვითარებაში გატანა ძნელია“.

მატჩის შემდეგ პაბში შევიარე. გოგო-ბიჭები ცეკვავდნენ. ერთი გოგო მოვიდა და „ლივერპულის“ კეპი წამაძრო. ვიფიქრე, დამიბრუნებს-მეთქი, მაგრამ შეიტყაპუნა. მისმა კავალერმა მითხრა, ჯენტლმენი ბრძანდებით, თქვენგან საჩუქრად იყოსო...

„ჰითროუდან“ ქალაქში მიმავალ მატარებელში „არსენალის“ ქომაგებს გადავეყარე. „ბირმინგემთან“ მატჩზე სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ. დრო და დრო გაოცებულები მიყურებდნენ, რადგან „ლივერპულის“ სამოში ვიყავი გამოწყობილი...

... ლონდონში ჩავედი და, „უემბლის“ უნახაობა აბა, როგორ შეიძლებოდა. სტადიონის დათვალიერების შემდეგ პაბში შევედი. „ბოლტონი“ — „ბლექბერნის“ მატჩს აჩვენებდნენ და რატომღაც იქაურობა „მანჩესტერის“ ფანებით იყო სავსე, მე კი... „ლივერპულის“ აბჯრით შემოსილი გახლდით. ხიზანიშვილი შეცვლაზე რომ შევიდა, ყიჟინა ავტეხე. პაბში მყოფნი დაიბნენ. ავუხსენი, ქართველი ვარ მეთქი და დამშვიდდნენ. მერე კი ორმა ქომაგმა სადგურშიც გამაცილა, ლივერპულში მივდიოდი...

ლივერპულში სასტუმროში რომ დავბინავდი, გამოსვლისას ფოიეში ბიჭს ვკითხე, „ენფილდამდე“ როგორ უნდა მივიდე-მეთქი. ეწყინა, დაიჯღანა, მანდ რა გინდაო. თურმე „ევერტონის“ ქომაგი ყოფილა...

**გოჩა თანდარაშვილი**
*ლივერპულიდან*

## ინგლისი

**ასოციაციის თასი**
**III ეტაპი. გადათამაშება**

**ლივერპული 5:0 ლუთონი**
1:0 ბაბელი (45), 2:0 ჯერარდი (52), 3:0 ჰიპია (57), 4:0, 5:0 ჯერარდი (64, 72)
**ლივერპული:** იტანდე არბელოა, კარაგერი, ჰიპია, რიისე, პენანტი, ხაბი ალონსო, ჯერარდი (ლეივა 73), ბაბელი, კრაუჩი (კუიტი 65), ფ. ტორესი (აურელიო 73)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**ლუთონი:** ბრილი, ჯექსონი, ჰატჩისონი, კინი, გუდალი, ბელი (მაკვეიგი 73), რობინსონი (ოლირი 68), სპრინგი, კურიე ენდრიუ (ფურლონგი 68), ტალბოტი
მწვრთნელი: კევინ ბლექველი
გაფრთხილება: ჰიპია
მსაჯი: უოლტონი
41 446 მაყურებელი

**ბერი 2:1 ნორვიჩი**
1:0 ფუტჩერი (18), 2:0 ბიშოპი (61), 2:1 დაბლინი (86)

**მილუოლი 2:1 უოლსოლი**
1:0 მეი (15), 2:0 ალექსანდერი (49), 2:1 ნიკოლსი (61)

**ვესტ ბრომვიჩი 2:2დ.დ.(პენ.4:3) ჩარლტონი**
1:0 ბედნარი (14), 2:0 მორისონი (51), 2:1 ამბროზი (64), 2:2 დიქსონი (90)

**რედინგი 0:1 ტოტენჰემი**
0:1 კინი (15)

**როვერსი — ფულემი**
გადაიდო

# ხიმენესმა ანრი დაიჩივლა

## ესპანეთი

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ბარსელონა 0:0 სევილია (1:1)**
**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, გ. მილიტო, აბიდალი, ხავი, მარკესი, გუდიონსენი (კრკიჩი 56), ინიესტა, დოს სანტოსი (დეკუ 69), ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
**სევილია:** დე სანკტისი, დანი ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო, ხესუს ნავასი, პოულსენი, რენატო, კაპელი (ალფარო 81), ლუიშ ფაბიანო (კერჟაკოვი 69), ჩევანტონი (დუდა 74)
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: დოს სანტოსი, მოსკერა, მარკესი, დუდა
მსაჯი: პერეს ბურული
75 917 მაყურებელი

**სამეფო თასს** ახალი პატრონი ეყოლება, რადგან შარშანდელი მფლობელი „სევილია“ „ბარსელონამ“ გააგდო. პირველ მატჩში სევილიაში კატალონიელებმა 1:1 ითამაშეს, საპასუხო კი უგოლოდ დასრულდა და სტუმრად გატანილის წყალობით, „ბარსა“ მეოთხედფინალში გავიდა.

„ორივე გუნდმა თავდაუზოგავად იბრძოლა. მატჩის ბოლოს იღბალი ჩვენსკენ იყო, მაგრამ „სევილია“ დიდებულია და დღეს ორი კარგი კლუბის თამაში ვნახეთ“ — განაცხადა მასპინძელთა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ.

სტუმართა მწვრთნელი მანოლო ხიმენესი: „თანაბარი თამაში იყო და პირველ მატჩში ანრის საეჭვო გოლმა გაარკვია მეოთხედფინალში გამსვლელი“.

„სევილიამ“ თავიდან გულიანად შეუტია და ერნესტო ჩევანტონს პირველივე წუთზე შეეძლო გატანა. დანი ალვეშმა მეტოქის დაცვა ერთი პასით გააუქმა, მაგრამ ჩევანტონმა ვერ შეირგო — ბურთს დასარტყმელად ვერ მისწვდა.

„ბარსამ“ მალევე უპასუხა, როცა ინიესტა გაძვრა მცველებში და ახლოდან ააცილა. შორიდან ამაოდ სცადეს გატანა ტიერი ანრიმ და ეიდურ გუდიონსენმა.

მეორე ტაიმში დანი ალვეშმა „გაისროლა“ სახიფათოდ, ხოლო ხესუს ნავასმა შეაგდო, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს.

**გაგა ხუციშვილი**

## ვაჭრობა პოდოლსკიზე

**„ბილდის“** ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ მიუნხენის „ბაიერნიდან“ ლუკაშ პოდოლსკის გადაბირება სურს. გაირკვა, რომ ფეხბურთელის აგენტი სიტელთა მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს უკვე შეხვდა და ფასზეც ივაჭრეს. პრემიერლიგის კლუბი 16 მილიონი დოლარის გადამხდელია. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე პოდოლსკი ვერა და ვერ ჩაეწერა „ბაიერნში“. იგი 2006-ის ივლისში გადავიდა მიუნხენურ გრანდში, მაგრამ მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის.

## მაარუფის რუტენი გაუხარდა

**მილანის** „ინტერის“ და ბელგიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი იბრაჰიმ მაარუფი სეზონის ბოლომდე „ტვენტეში“ ითამაშებს. ჰოლანდიურმა კლუბმა 18 წლის ბელგიელი „ინტერისგან“, შემდგომში კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით ითხოვა. მაარუფმა, რომელიც ადრე „ანდერლეხტში“ და პსვ-შიც იყო, განაცხადა: „ძალიან მინდოდა ჰოლანდიაში დაბრუნება. „ტვენტეს“ მწვრთნელ ფრედ რუტენს პსვ-დან ვიცნობ, სადაც პატარებში ვთამაშობდი“.

## დიარამ პორტსმუთი იარა

**„არსენალის“** ფრანგი ნახევარმცველი ლასანა დიარა „პორტსმუთში“ გადადის. „გარდიანის“ ცნობით, ჰარი რედნაპის კლუბი ფეხბურთელში 5 მილიონ 500 ათას გირვანქას იხდის. დიარა წინა ზაფხულს „არსენალმა“ „ჩელსიდან“ გადაიბირა და ამ სეზონში მხოლოდ შვიდი მატჩი ითამაშა.

## ატალანტამ ივანი დამალა

**ბერგამოს** „ატალანტამ“ სერბული „სმედერევოდან“ 19 წლის ნახევარმცველი ივან რადოვანოვიჩი იყიდა. კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს, ფეხბურთელი კი მედიას გუშინ წარუდგინეს. ბერგამოელები ამ სეზონში არცთუ ურიგოდ თამაშობენ და მეცხრე ადგილზე არიან.

## კოსოვსკის ევრო უნდა

**პოლონეთის** ნაკრებისა და „ვისლას“ ნახევარმცველი კამილ კოსოვსკი გუნდიდან წავიდა, რადგან ახალი კონტრაქტის პირობებზე კლუბთან ვერ შეთანხმდა. 30 წლის ფეხბურთელის ხელშეკრულება ამ სეზონის ბოლოს იწურებოდა. „პოლონეთში „ვისლას“ გარდა ვერსად ვითამაშებ და მინდა, რომ ისეთ უცხოურ კლუბში გადავიდე, რომელიც ევროთასებზე გამოდის“ — თქვა კოსოვსკიმ.

## ხანძარი თელ ავივში

**ისრაელის** ფეხბურთის ფედერაციის ოფისს, რომელიც „რამათ განის“ სტადიონზე მდებარეობს, ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა. დამნაშავეებმა კედლებზე წარწერაც დატოვეს: „სიკვდილი ლუზონას! ჩვენს „ბეითარს“ ყოველთვის დავიცავთ“. თავდასხმის მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ (პრეზიდენტია ავი ლუზონა) „ბეითარს“ „ბნეი საჰნინთან“ საშინაო მატჩის უქომაგოდ მასპინძლობა მიუსაჯა, გულშემატკივრების ცუდი საქციელის გამო.

## ფლეტჩერს არ ეშინია

**„მანჩესტერის“** ნახევარმცველმა დარენ ფლეტჩერმა განაცხადა, რომ გუნდიდან წასვლას არ აპირებს. ზაფხულში ნაყიდმა ბრაზილიელმა ანდერსონმა ფლეტჩერს ადგილი წაართვა, მაგრამ ის მაინც იბრძოლებს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. შევიწროებულს „ბირმინგემი“ ეპატიჟება, თუმც იუარა. „აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ და სადმე წასვლა არც მიფიქრია. დარწმუნებული ვარ, შანსი მექნება და აუცილებლად გამოვიყენებ“ — თქვა მანჩესტერელმა.

## მაკბრაიდი გამოწერეს

**ლონდონის** „ფულემის“ კაპიტანი ბრაიან მაკბრაიდი ხუთთვიანი უქმობის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა. მუხლის ტრავმის გამო მაკბრაიდს თითქმის ნახევარი წელი გაუცდა. იგი 18 აგვისტოს „მიდლსბროსთან“ მატჩისას დაშავდა და ჯერჯერობით სათადარიგოებში ითამაშებს, რათა ფორმაში შევიდეს.

## დოპინგის ფული

**ფრანგულ** გაზეთ „ლე მონდს“ სასამართლომ „ბარსელონასთვის“ 300 ათასი ევროს გადახდა მიუსაჯა. 2006 წლის დეკემბერში ჟურნალისტმა სტეფან მანდარდმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც წერდა, რომ „ბარსელონა“ დოპინგ-სკანდალით ცნობილ ექიმ ეუფემანო ფუენტესთან თანამშრომლობდა. ეს ექიმი ველომრბოლებს ჭყიპავდა დოპინგით და ეს საქმე წელიწადნახევრის წინ გასკდა. „ბარსამ“ იჩივლა და სასამართლო მოიგო. „ლე მონდი“ ფულსაც გადაიხდის და ოფიციალურადაც მოიხდის ბოდიშს.

## დერბის სამარეში ჩავყვები

**ბულგარული** „ლიტექსის“ ნახევარმცველი ივლინ პოპოვი და მცველი ივან ივანოვი პრემიერლიგის „დერბიში“ ერთ კვირას გაატარებენ. ორივე ფეხბურთელი ბულგარეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია და მწვრთნელს თავს თუ მოაწონებენ, კონტრაქტსაც გამოჰკავენ ხელს. „ინგლისურ ფეხბურთზე შეყვარებული ვარ და „დერბიზეც“ ბევრი რამ ვიცი. მზად ვარ, მეხუთე დივიზიონშიც ვითამაშო“ — თქვა ივანოვმა.

**გაგა ხუციშვილი**

# განსაკუთრებული ნიუკასლისთვის
## კევინ კიგანი განმეორებას დათანხმდა



**„ნიუკასლმა“**, როგორც იქნა, ახალი მწვრთნელი დანიშნა. ეს 56 წლის კევინ კიგანია, რომელიც ადრე „მანჩესტერ სიტიში“ მუშაობდა, „სენტ ჯეიმსის პარკზე“ კი სემ ალარდაისი შეცვალა.

ბოლო დღეებში ამ თანამდებობას ჟერარ ულიეს და დიდიე დეშანს უქადდნენ, საბოლოოდ კი პოსტი კიგანს ერგო. სხვათა შორის, კიგანი „ნიუკასლში“ 1992-97 წლებში უკვე მუშაობდა.

კევინ კიგანი ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელიც გახლდათ. ისე კი, კლუბის გულშემატკივართა ფავორიტი ალან შირერი იყო.

იმ 11 წელიწადში, რაც კიგანმა „ნიუკასლი“ დატოვა, კლუბმა ექვსი მენეჯერი გამოიცვალა, ხოლო მთლიანობაში „ნიუკასლს“ 39 წელია, ჯილდო აღარ მოუპოვებია.

არადა, სულ ახლახან, ოქტომბერში იყო, კიგანმა BBC-ს რომ უთხრა, კლუბებში მუშაობის სურვილი აღარ მაქვსო: „აღარ მგონია, ეს როდესმე განმეორდეს. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წავა.“

ახლა კი კევინ კიგანი ამბობს: „ნიუკასლი“ ის კლუბია, რომელიც მე მიყვარს და ეს ყველამ იცის.“

კევინ კიგანი თავის დროზე „ნიუკასლის“ ფეხბურთელიც იყო, 1982-84 წლებში. ისე, კიგანის მუშაობა „ნიუკასლში“ წარმატებულიც იყო. 1995-96 წლების სეზონში, მან გუნდი პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გაიყვანა, თუმცაღა ჩემპიონ „მანჩესტერს“ მთელი 12 ქულით ჩამორჩა. შემდეგ, ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ გარდა, „ფულემის“ მწვრთნელიც იყო.

გულშემატკივართა ფავორიტმა ალან შირერმა კი კიგანზე თქვა: „მას განსაკუთრებული ქარიზმა აქვს და რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება შეუძლია კლუბისთვის.“

**ქოთე ძეძელია**

# ბაიერნის ვარსკვლავს შიშველი ვარსკვლავი უყვარს

**ევანხელინა ანდერსონის** ფოტოების ნახვისას, ყველასთვის ცხადი გახდება, რატომ უყურებს კვირაობით მილიონობით არგენტინელი მის გადაცემა Planeta show-ს და რატომ შურთ მარტინ დემიკელისის.

უკვე სამი კვირაა, რაც მარტინი მისი ცხოვრების ახალი მამაკაცია და იმდენად დაახვია თავბრუ არგენტინელთა საოცნებო ქალს, რომ ევანხელინა მზადაა, თებერვალში მიუნხენში გადავიდეს საცხოვრებლად. ამ ქალაქის უპირველეს კლუბ „ბაიერნში“ თამაშობს მისი რჩეული.

ამ ქერა ქალბატონს, რომელსაც გვარი მენეჯერმა პამელა ანდერსონის პატივსაცემად შეურჩია, არანაირი პრობლემა არ აქვს, შიშველმა იპოზიოროს ფოტოგრაფის წინ და სააშკარაოზე გამოიტანოს ყველა ქალთა საოცნებო პარამეტრები.

ევანხელინა ანდერსონი არც თავის სექსუალურ ცხოვრებაზე საუბრისას გახლავთ მოკრძალებული: „უდიდესი სექსუალური ფანტაზია მაქვს. მიყვარს სათამაშოები, ნიღბები და კოსტიუმები. ჩემი ეშმაკის კოსტიუმი უკვე დახეულია. ხშირად მქონია სექსი თვითმფრინავის ტუალეტში — ეს ძალიან ამაღელვებელია“.

დიეგო მარადონასთვისაც დაუხვევია თავბრუ ამ ქალს. 2007 წლის ივლისში ევანხელინას 24-ე დაბადების დღეზე დიეგო საჩუქრებით დატვირთული მივიდა დისკოთეკაზე, სადაც იუბილარი იმყოფებოდა. დიეგომ ის საღამო ევანხელინასთან ერთად გაატარა.

ახლა კი ევანხელინა ანდერსონს ერთი რამ სურს — „ბაიერნის“ გრძელთმიანი ვარსკვლავი, რომლის საქებრადაც სიტყვებს არ იშურებს: „მიკო“ კანფეტივით ტკბილია! ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. ის ძალიან თბილი და მგრძნობიარეა და, რაც მთავარია, იცის, როგორ გაალვივოს ჩემში ნაპერწკალი...“

დემიკელისი მას პირველად დეკემბრის შუა რიცხვებში შეხვდა და ბარ „CHEOPS“-ში დაპატიჟა. ახლა კი ევანხელინა „მიკოზე“ უკვე როგორც „MI MARINO“ (ჩემი მეუღლე) ისე საუბრობს: „ჩემი გადაცემა 3 თებერვალს დამთავრდება და მაშინვე მიუნხენში, მასთან გავფრინდები. ჩვენ ერთად ცხოვრება გვინდა“.

**ქოთე ძეძელია**





# კაკა 2007

**ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია ორი წელია, წლის საუკეთესო გამთამაშებელს ასახელებს და ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ 2007 წლის ლაურეატად ბრაზილიის ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ პლეიმეიკერი კაკა დასახელდა.

ამ გამოკითხვაში მონაწილეობას ყველა კონტინენტის 87 სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტი იღებს. 49 მათგანმა კაკა პირველ ნომრად დაასახელა, რის შედეგადაც 25 წლის ბრაზილიელმა საგრძნობი უპირატესობით გაასწრო მეორეზე გასულ თანაგუნდელს, 28 წლის ანდრეა პირლოს, მესამეზე კი „ბარსელონას“ 20 წლის არგენტინელი ვუნდერკინდი ლიონელი მესი აღმოჩნდა.

შარშან ფედერაციამ საუკეთესო გამთამაშებლად ზინედინ ზიდანი დაასახელა. მეორეზე რონალდინიო გავიდა, მესამეზე კი — პირლო.

2007 წლის საუკეთესო ათეულში კიდევ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოხვდა — 20 წლის ფრანსესკ ფაბრეგასი, 22 წლის კრიშტიანუ რონალდუ, 22 წლის დიეგო და 23 წლის რობინიო.

23 პლეიმეიკერი 12 სხვადასხვა ქვეყნიდანაა წარმოდგენილი. აქედან ხუთი ბრაზილიელია, სამი ინგლისელი, ორ-ორი არგენტინელი, იტალიელი, პორტუგალიელი, ესპანელი და ჰოლანდიელი. აღსანიშნავია, რომ ხუთივე ბრაზილიელი საუკეთესო თერთმეტეულშია.

ნამატჩევს „მაკაბის“ მწვრთნელმა ჯამლეტ ხუხაშვილმა თქვა, „ვითასთან“ ძალით წავაგეთ, რათა „ვითა“ — „ენერჯი-ინვესტის“ მატჩისთვის და შესაბამისად ტურნირისთვის ინტრიგა შეგვენარჩუნებინაო. რაღა თქმა უნდა, მან იხუმრა, მოგება ძალიანაც უნდოდა, მაგრამ იმაში, რომ „მაკაბის“ დამარცხებით ქორქია-საკანდელიძის მემორიალს ინტერესი შეემატა, ხუხაშვილი ცამდე მართალია.

ერთის მხრივ, შესაძლოა, მავანს სერიოზულად შეეპაროს ეჭვი, „მაკაბიმ“ მართლა განზრახ ხომ არ წააგოო. ხუხაშვილის გუნდს მოგება თითქმის განაღდებული ჰქონდა, ფინალურ ორ წუთში 8-ქულიანი უპირატესობის შენარჩუნება მართებდა, მაგრამ ამაზე ცოტა ქვევით გიამბობთ, ახლა კი ისა ვთქვათ, თუ რატომ შეუნარჩუნდა ტურნირს ინტრიგა.

გუშინ „მაკაბის“ რომ „ვითა“ დაემარცხებინა, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური ფაქტობრივად კარგავდა ინტერესს. „ენერჯი-ინვესტის“ კონკურენტად, რომელმაც პირველ ტურში „მაკაბი“ 46 ქულით გაანადგურა, სწორედ „ვითა“ ითვლება და ამას რომ ხუხაშვილის გუნდთან წაეგო, რუსთაველებთან სადღეისო შეხვედრა ინტრიგისგან დაიცლებოდა. მართალია, ვითელებს მარცხის შემთხვევაშიც რჩებოდათ შანსი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათ „ენერჯი“ დაახლოებით 50 ქულით უნდა დაემარცხებინათ...

სიმართლე ითქვას, არც ახლა უნდა იყვნენ მაყურებლები დიდი ბრძოლის მოლოდინში, მაგრამ რუსთაველებთან სადღეისო მატჩში „ვითას“ ნებისმიერი გამარჯვება აძლევს ხელს და ეჭვი არაა, ბოლომდე დაიხარჯება.

ალბათ მართლაც ძალიან უნდა მოენდომებინათ მაკაბელებს, რომ „ვითასთან“ წაეგოთ. გიორგი შერმადინის უჩაუქესი თამაშის წყალობით ხუხაშვილის გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ მთელი მატჩი კუდიდან არ მოსშორებია ფავორიტად მიჩნეულ „ვითას“ და ბოლო მეოთხედში საიმედო ლიდერობასაც მიაღწია.

შერმადინი თითქმის ყველაბურთს



აგდებდა ფარქვეშიდან, საჯარიმოდან, საშუალო დისტანციიდან თუ პერიმეტრს მიღმიდან. ტენიდა, გარღვევებს ახორციელებდა და საბოლოოდ 42 ქულას მოუყარა თავი.

საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე შერმადინმა 42-ე ქულა რომ ჩააგდო, „მაკაბი“ 80:72 დაწინაურდა და მოგებაც თითქმის ჯიბეში ჰქონდა. თუმცა მოხდა მცირე სასწაული და „ვითამ“ ლიდერობა 50 წამში(!) მოიპოვა: ანუ დროის ეს მონაკვეთი 9:0 მოიგო.

როგორ მოხდა ეს? დავით გვიმრაძემ სამიანი ჩააგდო და სხვაობა ხუთამდე შეამცირა. მაკაბელების შემოტანილი ბურთი გიორგი მარხვაშვილმა ფარქვეშვე ჩაჭრა და ორიანი მიითვალა. ვითელებმა ისევ არ აცალეს მეტოქეს ბურთის შემოტანა და კვლავ ჩაუჭრეს. ამჯერად შერმადინმა ჯარიმით შეაჩერა გვიმრაძე და ეს მისთვის მეხუთე პერსონალური გამოდგა.

„დაზარალებულმა“ ორივე საჯარიმო ჩააგდო, ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა და საფინალო სირენამდე ჯერ კიდევ ორ წუთამდე იყო. უფრო სწორად, წუთი და 50 წამი — „ვითამ“ 10 წამში მოახერხა 7 ქულის გაბათილება. „მაკაბი“ ისეთი დაბნეული იყო, რომ მომდევნო შეტევაშიც, რა თქმა უნდა, დაკარგა ბურთი და გვირმაძემ ისევ საჯარიმოდან მიითვალა ვითელთა დამაწინაურებელი ქულები — 81:80 საფინალო სირენამდე 50 წამით ადრე.

დანარჩენი, რომ იტყვიან, დროის ამბავი იყო, „ვითას“ გამარჯვება მოპოვებული ჰქონდა. ეს დროც გავიდა და საბოლოოდ ტაბლოზე 86:83 აღიბეჭდა.

მეორე მატჩი ცალფარა იყო. თავიდანვე რომ სოლიდურად დაწინაურდა „ავიამშენი“, მეტოქე სათოფეზე აღარ გაუკარებია. დღეს „ავიატორებმა“ თსუ უნდა დაამარცხონ, ფინალში რომ გავიდნენ, ხოლო მეორე ფინალისტს, როგორც ზემოთაც ვთქვით, „ვითა“ — „ენერჯი-ინვესტის“ დაპირისპირება გამოარკვევს.

***ირაკლი პერტაია რუსთავიდან***

***ავტორის ფოტო***

### ულებ-ის თასი. ჯგუფური ეტაპი მეცხრე ტური. 15 იანვარი

**A ჯგუფი**

ალბა (გერმანია) 73:81 ტელეკომი (თურქეთი)
გილფორდი (დიდი ბრიტანეთი) 76:86 შაულიაი (ლიტვა)
ხუვენტუდი (ესპანეთი) 83:66 ბოსნა (ბოსნია)
ხუვენტუდი 17, ტელეკომი 17, შაულიაი 13, ალბა 13, ბოსნა 12, გილფორდი 9

**B ჯგუფი**

FMP (სერბეთი) 75:65 კიოლნი (გერმანია)
შალონი (საფრანგეთი) 97:89 ვენტსპილსი (ლატვია)
ოვარენშე (პორტუგალია) 80:94 ბეშიქთაში (თურქეთი)
ბეშიქთაში 18, კიოლნი 14, ვენტსპილსი 14, შალონი 14, აძზ 12, ოვარენშე 9

**C ჯგუფი**

გალათასარაი (თურქეთი) 72:64 ასოფტი (რუმინეთი)
ჰანზხევასტი (ჰოლანდია) 94:85 ჰემოფარმი (სერბეთი)
ხირონა (ესპანეთი) 92:72 შარლერუა (ბელგია)
ხირონა 16, გალათასარაი 15, ჰემოფარმი 15, ასოფტი 12, შარლერუა 12, ჰანზევასტი 11

**D ჯგუფი**

აზოვმაში (უკრაინა) 73:74 პამესა (ესპანეთი)
ხიმკი (რუსეთი) 90:63 ანვილი (პოლონეთი)
ნანსი (საფრანგეთი) 84:78 სკაილაინერსი (გერმანია)
ხიმკი 17, პამესა 16, აზოვმაში 14, გაგსი 13,ანვილი 12, სკაილაინერსი 9

**E ჯგუფი**

ტრიუმფი (რუსეთი) 76:61 ფრაიბურგი (გერმანია)
ელიონი (ისრაელი) 82:81 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
სვანსი (შვედეთი) 80:69 ანტვერპენი (ბელგია)
ტრიუმფი 17, ბუდუჩნოსტი 15, სვანსი 14, ანტვერპენი 12, ფრაიბურგი 12, ელიონი 11

**F ჯგუფი**

დინამო (რუსეთი) 107:73 პანელინიოსი (საბერძნეთი)
ბოლონია (იტალია) 76:77 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ოსტენდე (ბელგია) 83:81 ნიმბრუკი (ავსტრია)
დინამო 16, ცრვენა ზვეზდა 15, ნიმბრუკი 14, ოსტენდე 12, ბოლონია 11, პანელინიოსი 10

**G ჯგუფი**

პანიონიოსი (საბერძნეთი) 74:79 კანარია (ესპანეთი)
ლუდვიგსბურგი (გერმანია) 87:62 კალევი (ესტონეთი)
ასველი (საფრანგეთი) 82:72 შლიონსკი (პოლონეთი)
კანარია 16, ასველი 15, პანიონიოსი 14, შლიონსკი 13, კალევი 12, ლუდვიგსბურგი 11

**H ჯგუფი**

ბკ კიევი (უკრაინა) 85:84 აკადემიკი (ბულგარეთი)
ბკ კიევი: მარკოიშვილი (37 წუთი, 13 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი)
ბენეტონი (იტალია) 82:64 არტლენდი (გერმანია)
პო ორტეზი (საფრანგეთი) 68:66 ასკ (ლატვია)
ბკ კიევი 16, ბენეტონი 15, აკადემიკი 14, არტლენდი 13, ასკ 12, პოორტეზი 11

**I ჯგუფი**

ტუროვი (პოლონეთი) 73:68 უნიკსი (რუსეთი)
ზადარი (ხორვატია) 103:75 ჰაპოელი (ისრაელი)
ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია) 83:60 სტრასბური (გერმანია)
ტუროვი 17, ზადარი 14, უნიკსი 13, ჰაპოელი 13, ეიფელ თაუერსი 12, სტრასბური 12

# მარკოიშვილის არითმეტიკა: 1+2+3=13

**მანუჩარ** მარკოიშვილის „ბკ კიევმა“ პლეი ოფში გასვლა წინა ტურში გაინაღდა, თუმც, აბა, ამით როდი დაკმაყოფილდებოდა და ჯგუფში გამარჯვებისთვის იბრძვის. საამისოდ კიეველებს ბევრიც არაფერი უკლიათ — ბოლო ტურში გერმანიაში „არტლენი“ უნდა დაამარცხონ, თუმც ჯგუფში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ შესაძლოა, მარცხის შემთხვევაშიც იპირველონ.

მოიგებს თუ არა „ბკ კიევი“ H ჯგუფს, 22 იანვრის ღამეს გაირკვევა, ახლა კი იმ დრამატულ მატჩზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რომელშიც მარკოიშვილის გუნდმა ბოლო წამზე მოიპოვა გამარჯვება.

კიეველები ბულგარულ „აკადემიკს“ მასპინძლობდნენ და პირველი წუთიდან რომ გახურდა თანაბარი ბრძოლა, საფინალო წამებამდე ასე გაგრძელდა. კერკეტი „აკადემიკი“ ლეგიონერების შემწეობით ეურჩებოდა კიეველებს. ვილი დინი და პერო ანტიჩი, რომლებმაც მთლიანობაში 50 ქულა მიითვალეს, მასპინძლებს დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. კიეველები, თავის მხრივ, არტურ დროზდოვის გამოცდილებას და მანუჩარ მარკოიშვილის მიზანს ეყრდნობოდნენ.

ქართველმა უკანახაზელმა ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი, 37 წუთი გაატარა. მან 1 ორქულიანი, 2 საჯარიმო და 3 სამიანი ჩააგდო, რაც ჯამში 13 ქულა გამოვიდა. „მანუს“ ბოლო სამქულიანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კიეველებისთვის: სირენამდე 70 წამით ადრე მის ტყორცნას მასპინძელთა 82:79 გალიდერება მოჰყვა.

სოფიელები არც აქ დანებდნენ. ტოდორ სტოიკოვმა ორიანი, რამდენიმე წამში კი დინმა სამქულიანი მიითვალა და ბოლო წუთზე „აკადემიკი“ 84:82 დაწინაურდა. კიეველები მაინც გამოძვრნენ რთული სიტუაციიდან. რაიან სტაკმა ორიანით გაათანაბრა ანგარიში, ბულგარელთა ბომბარდირმა დინმა კი ააცილა და სტუმრები პუ-ჰ ჯეტერზე დაჯარიმდნენ. ზედ საფინალო სირენის წინ ჯეტერმა ერთი საჯარიმო ჩააგდო და კიეველებმაც 85:84 მოიგეს.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონის ფორმულა 51

15 იანვარი

**ატლანტა 104:93 დენვერი**

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (13), ჯ. ჯონსონი (22), მ. უილიამსი (19), სმიტი (10), ჰორფორდი (12); ჩილდრესი (17), ლოუ (6), ლუ (2), ვესტი (2), ჯონსი (1)

ფაჩულია სათადარიგო იყო

**დენვერი:** აივერსონი (27), კარტერი, ენტონი (36 ქულა, 11 მოხსნა), ნახერა, კემბი (4 ქულა, 12 მოხსნა); სმიტი (21), კლეიზა (5), დიავარა

**მემფისი 124:132 კლივლენდი**

ძირითადი დრო 113:113

**მემფისი:** გაი (30), ნავარო (26), კონლი (20), გასოლი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (51 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), გიბსონი (18)

**კლიპერსი 97:90 ფინიქსი**

**კლიპერსი:** კასელი (32), მაგეტი (21)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (29), ბელი (15), მერიონი (14 ქულა, 17 მოხსნა), ნეში (14 ქულა, 13 პასი)

**ჰიუსტონი 107:111 ფილადელფია**

**ჰიუსტონი:** მინი (25), ალსტონი (20), ბეტიე (17), ჰედი (16)

**ფილადელფია:** მილერი (26), დალემბერტი (19), უილიამსი (18), იგუდალა (17)

**ორლანდო 102:93 ჩიკაგო**

**ორლანდო:** ლუისი (26), ჰოვარდი (15 ქულა, 11 მოხსნა), ბოგანსი (15)

**ჩიკაგო:** სმიტი (13)

**ნიუ იორკი 105:93 ვაშინგტონი**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (29), რენდოლფი (14 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (14)

**ვაშინგტონი:** ბატლერი (24), ჯემისონი (21), მეისონი (20)

**დეტროიტი 109:89 ტორონტო**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (39), ბილაფსი (20)

**ტორონტო:** ბოში (16 ქულა, 11 მოხსნა), დელფინო (14), კაპონო (14)

**მინესოტა 98:105 გოლდენ სტეიტი**

**მინესოტა:** ულკერი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჯეფერსონი (18 ქულა, 14 მოხსნა), გომესი (15)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (22), ჯექსონი (21), ელისი (17

ლებრონ ჯეიმსი შემთხვევით როდი ლიდერობს ბომბარდირთა სიას. წლეულს ის მართლაც საუცხოო ფორმაშია და ჰა, დასტურიც: სამშაბათს მან 51 ქულა ჩაუგდო „მემფისს“ და ამ სეზონის საყოველთაო რეკორდი დაისაკუთრა. ის მეორეჯერ ასცდა 50-ქულიან ზღვარს, პირად რეკორდამდე კი 5 ქულა დააკლდა.

ნამატჩევს ჟურნალისტთა კითხვაზე, 50 ქულის გაკეთება სიამოვნებას გგვრით თუ არაო, ლებრონმა მიუგო — „როდესაც გუნდი იგებს, ეს მართლაც სასიამოვნოა, მაგრამ ჩემი წინა 50-იანი თამაშებიდან ორი წავაგე და მაშინ ნამდვილად ვერ ვიდექი სიამოვნების მწვერვალზე გამოდის, მთავარი მაინც მოგება ყოფილა.“

მისმა „კლივლენდმა“ დაძაბულ ბრძოლაში მოიგო ეს თამაში, თავად ლებრონმა კი მონაგრის ნახევარი, 25 ქულა მეოთხე მეოთხედში და დამატებით ხუთწუთეულში შეიმატა. მასპინძელი „მემფისი“ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მობურთალის სასწაულების მიუხედავადაც მტკიცედ იდგა და ვარსკვლავბიჭუნას ჩაგდებულებს შედეგიანი შეტევებითვე პასუხობდა. განსაკუთრებით იყოჩაღა „მემფისის“ 27 წლის ესპანელმა ახალბედამ ხუან-კარლოს ნავარომ, ვინც ნბა-ში ალბათ საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 26 ქულა მოიხვეჭა. მან დააქუხა ექვსი სამქულიანი და ბოლო წუთებზე არაერთი მნიშვნელოვანი შეტევა დაასრულა. მანვე გადაარჩინა „მემფისი“ ძირითადში წაგებას, როცა დროის ამოწურვამდე 10 წამით ადრე სამქულიანით 113:113 გაათანაბრა.

მაგრამ ის თამაში მისი კი არა, სხვისი იყო. ლებრონმა ოვერტაიმში ყველას თავისი ადგილი მიუჩინა, როცა ეს დრო 19:11 მოაგებინა თავის გუნდს.

მატჩის გმირს „მემფისის“ მწვრთნელმა მარკ. იავარონიმაც კი საკმარისზე მეტი ქება უძღვნა — „ლებრონი ფანტასტიკურია. მიაქციეთ ყურადღება, მან 51 ქულასთან ერთად 9 პასიც გააკეთა. მე ვფიქრობ, მას მეჯიქ ჯონსონზე არანაკლებ კარგად შეუძლია პასის გაკეთება, თანაც ზუსტად მისხელაა (203 სმ). იცით, როგორი ძნელია ამ სიმაღლიდან მოედნის ხედვა და ყველაფრის დანახვა?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ლებრონი ცაში პირველად როდი აჰყავთ დამარცხებულ მეტოქეთა მწვრთნელებს. მთავარი კი ისაა, რომ ის ამას სავსებით იმსახურებს.

„ატლანტას“ სათადარიგოთა სკამზე გამოჩნდა ზაზა ფაჩულია, თუმცა ჩვენებურს არც ამჯერად უთამაშია და ზედიზედ მეოთხე შეხვედრა გაუცდა. მისმა გუნდმა კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ვინ მოთვლის, მიმდინარე სეზონში მერამდენედ გაათანაბრა მოგება-წაგებათა პროცენტი. „ატლანტამ“ „დენვერს“ მოუგო, რომელსაც განაცხადში 12 კაცი კი ჰყავდა, მაგრამ რატომღაც სამი კალათბურთელით თამაში გადაეწყვიტა. კარმელო ენტონიმ, ალენ აივერსონმა და ჯეიარ სმიტმა „დენვერის“ 93 ქულიდან 84 ჩააგდეს და თითქმის ბოლომდე შეუნარჩუნეს მატჩს ინტრიგა, მაგრამ უკანასკნელ წუთზე მსაჯებმა ამ სამეულიდან ორი გააგდეს და „ატლანტამ“ მშვიდად ჩაამთავრა მატჩი.

აივერსონს იმ დღეს მსაჯებთან კამათის სენი შეჰყროდა, რამდენჯერაც ვინმე თითს დააკარებდა, ის სულ ჯარიმებს ითხოვდა, თანაც დასაშვებზე მეტი აგრესიით. ჰოდა, ერთხელ რომ მოუთმინა მსაჯმა ჯონ გოპლმა, მეორედ ტექნიკური მისცა, მაგრამ რაკი ვერ გააჩუმა, მეორეც „უბოძა“ და მოედნიდან ასე გაისტუმრა. აივერსონს მხარი აუბა და მსაჯს მისი გაგდება უსამართლობაში ჩაუთვალა სმიტმა. რა გასაკვირია და, მასაც ზუსტად იგივე დღე დაადგა. სულ ცოტა, ორჯერ მაინც ტყუილად დამაჯარიმესო, ნამატჩევსაც არ ცხრებოდა ვეტერანი ვარსკვლავი.

ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ მოულოდნელად დამარცხდა სტივ ნეშის „ფინიქსი“. კლიპერსელებს გულზე დიდად როდი ეხატებათ „უფროსი“ თანაქალაქელი „ლეიკერსი“, მაგრამ ახლა მას უნებლიედ გზა გაუკვალეს დასავლეთის ერთპიროვნული ლიდერობისკენ. „ლეიკერსი“ მთლავრი კონფერენციის თავში აღმოჩნდა, პირველად 2004 წლის შემდეგ.

**კოტე ყორშია**



„ატლანტა“ — „დენვერის“ მატჩში მსაჯებმა ალენ აივერსონი და ჯეიარ სმიტი გააძევეს



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ვეიკ ან ზეე. ჰოლანდია. 11-27 იანვარი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | პაველ ელიანოვი (უკრაინა) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0:1 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |




# ტოპალოვის ტოტალური კრახი

**მეოთხე** ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ვესელინ ტოპალოვმა მეორე თამაში წააგო და მისთვის შეუფერებელ ბოლო ადგილზე ჩაცურდა. ამჯერად ბულგარელი ლუკ ვან ველმა დაამარცხა.

აღნიშვნის ღირსია ჰოლანდიელი მოჭადრაკის გამოსვლა. პირველ ტურში მან, შავი ფიგურებით, ვლადიმირ კრამნიკს ნახევარი ქულა აართვა, წინა შეხვედრაში კი თეიმურ რაჯაბოვს გაუყო ქულა. აზერბაიჯანელთან მატჩისას მასპინძელი დიდ უპირატესობას ფლობდა, თუმცა შემდეგ შეცდომა დაუშვა და 85-ე სვლაზე დაუზავდა. ხასიათი მან მეოთხე ტურში გამოიკეთა, ბულგარელთან მსუყე ქულა აიღო და მესამე ადგილზე ავიდა.

პარტია ვან ველმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, მე-3 სვლაზე პაიკი გაუცვალა შავებს და ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. ჰოლანდიელმა მეტოქეს დედოფლის ფლანგიდან დაარტყა, რამდენიმე ჯარისკაცი მოუკლა და ხარისხით დაწინაურდა. ვან ველმა მარჯვენიდანაც განახორციელა იერიში, მტერს დაბნეული არმია კიდევ უფრო მიუნგრია და 81-ე სვლაზე იმარჯვა.

პირველი პარტია მოიგო კრამნიკმაც. რუსმა დიდოსტატმა პაველ ელიანოვი 68-ე სვლაზე დაამარცხა და მდგომარეობა გაიუმჯობესა.

ყაიმით დასრულდა მაგნუს კარლსენისა და ლევონ არონიანის შეხვედრა. ლიდერებმა ზავი 36-ე სვლაზე გამოაცხადეს და პირველ-მეორე ადგილები შეინარჩუნეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაგნუს კარლსენი | 3 |
| 2. | ლევონ არონიანი | 3 |
| 3. | ლუკ ვან ველი | 2,5 |
| 4. | თეიმურ რაჯაბოვი | 2,5 |
| 5. | ვლადიმირ კრამნიკი | 2,5 |
| 6. | იუდიტ პოლგარი | 2,5 |
| 7. | ვასილ ივანჩუკი | 2 |
| 8. | მაიკლ ადამსი | 2 |
| 9. | პეტერ ლეკო | 2 |
| 10. | ვიშვანათან ანანდი | 1,5 |
| 11. | შაჰრიარ მამედიაროვი | 1,5 |
| 12. | ვესელინ ტოპალოვი | 1 |
| 13. | პაველ ელიანოვი | 1 |
| 14. | ბორის გელფანდი | 1 |



# დავით ქევხიშვილი თბილისს გამოტოვებს

**დავით ქევხიშვილი 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოში ჯერჯერობით უპირობო ლიდერია. ნამდვილად უნიჭიერეს ფალავანს საერთაშორისო ტურნირებზე უმაღლესი შედეგის მიღწევამდე ყოველთვის რაღაც აკლდება. გასულ წელსაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში დასანანი მარცხი განიცადა. ქევხიშვილს ოლიმპიური ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს. ახლა ნაკრებთან ერთად გადის შეკრებას თბილისში და გვეგონა, რომ თბილისის ტურნირს იჭიდავებდა.**

**სწორედ ამის გამო დავუკავშირდით და მომავალი გეგმების შესახებ ვკითხეთ...**

— ბევრმა ქართველმა მოჭიდავემ სეზონი ტრიუმფით დაასრულა, შენ თუ ხარ გასული წლით კმაყოფილი?

— ჩემი ფორმიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მაქსიმუმს მივაღწიე. მძიმე ტრავმა მქონდა და ოპერაცია დამჭირდა. ევროპის ჩემპიონატის ფინალში წავაგე, არადა, ვფიქრობ, ოქროს მედლის მოპოვება შემძლო.

— თბილისის ტურნირისთვის როგორ ემზადები და შეგიძლია თუ არა გამარჯვება?

— ოლიმპიადის ლიცენზია უკვე მოპოვებული მაქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი ავიღე და საჭირო ქულები მოვაგროვე, ამიტომ არ მინდა, რომ ზედმეტად დავიტვირთო. თბილისის მსოფლიოს თასს არ ვიჭიდავებ. ისე კი, მომდევნო ტურნირებზე აუცილებლად გამოვალ. ოლიმპიადას ოპტიმალურ ფორმაში უნდა შევხვდე.

— ვინ მიგაჩნია საქართველოში შენს უმთავრეს კონკურენტად?

— ბევრი ნიჭიერი მოჭიდავეა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ ტურნირზე უფრო გამოიკვეთება ჩემი კონკურენტი.

**ზურაბ მიგრიაული**

# თავს დავდებთ და გავიმარჯვებთ
## რევაზ ჭანტურია პრობლემებს არ უშინდება



ლუქსემბურგთან „ჩელენჯ ტროფის“ ფინალის წინ ბოლო ლეგიონერი, ვინც ნაკრებს შეუერთდა, მაკედონიის „მეტალურგში“ მოთამაშე რევაზ ჭანტურიაა. მის გუნდს ახლა კარგი დრო უდგას, ჩემპიონატში მოგებათა სერია გამოაცხო, უშუალო კონკურენტ „ვარდარს“ გასვლაზე მოუგრიხა კისერი და სატურნირო ცხრილს ხუთქულიანი ფორით მოექცა სათავეში. „მეტალურგი“ ევროთასებზეც კარგად გამოდის, ევროპის ფედერაციის თასის გათამაშებაში მერვედფინალს უწია და გაზაფხულზე ურთიერთობას ესპანურ „გრანოლერსთან“ გაარკვევს. რეზოს გუშინ ნაკრების ვარჯიშის მერე გავესაუბრეთ

— 5-ქულიანი ფორა საკმაოდ სერიოზულია, თუ „ვარდარს“ შინ მოვუგეთ, 95 პროცენტით ჩემპიონები ვართ. მაკედონიაში ეს ორი გუნდი ბატონობს. ჩემპიონები ხან ისინი ხდებიან, ხანაც — ჩვენ. განვლილ სეზონში სადაც გამოგვიჭირეს, მოგვიგეს და პირველობაც წაგვართვეს, ასე რომ, ახლა არაფერს დავუთმობთ. ისე, თასისთვისაც ვიბრძოლებთ. „ვარდარის“ გარდა შედარებით ძლიერი გუნდები „მლადოსტი“ და „პელსტარი“ არიან...

— რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით?

— ამ მხრივ საწუწუნო არაფერი მაქვს. კონკურენტ „ვარდართანაც“ კარგად ვითამაშე და შვედურ „სავეჰოფთანაც“ ევროთასზე. თან ჩემი უშუალო კონკურენტი სერბი ზორან ზუბიჩი გუნდიდან გაუშვეს, მისით მწვრთნელი არ იყო კმაყოფილი. არადა, ზაფხულში იმ მიზნით მოიყვანეს, რომ კონკურენტი მყოლოდა, მაგრამ... მის მაგივრად 17 წლის მაკედონიელი გოცე გიორგევსკი მოიყვანეს. იქაური ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

— ევროთასზე სერიოზული გუნდი შეგხვდათ, თქვენს შანსებს როგორ შეაფასებთ?

— ჩვენი ინფორმაციით, შარშან უკეთეს ფორმაში იყვნენ, ახლა ესპანეთის ჩემპიონატში მე-10 ადგილზე არიან. არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

— უკვე ამდენი წელი „მეტალურგში“ ხართ, წასვლაზე არ გიფიქრიათ?

— ვფიქრობ, მაგრამ ისე, იქაც კარგად მოვეწყე, ქვეყანას შევეჩვიე და ენაც ვისწავლე — კონტრაქტი მაისში მიმთავრდება და გადაწყვეტილებას მაშინ მივიღებ. თუ უკეთესი პირობები შემომთავაზეს, დავრჩები, ისე კი ალბათ წავალ. მაკედონიელებიც კარგი თამაშის შემთხვევაში გამიგრძელებენ კონტრაქტს, ლამაზი თვალების გულისთვის არავინ დაგიტოვებს. მთავარი კი ჩემთვის სათამაშო ხარისხის გაუმჯობესებაა. მინდა, რომ კარგი პროცენტული მაჩვენებელი მქონდეს...

— ახლა ნაკრებზეც, რას გვეტყვით მოახლოებულ ფინალზე?

— მართლა კარგი შემადგენლობა გვყავს, უბრალოდ, ერთად ყოფნა და შეთამაშება გვჭირდება ასე 30-40 დღიანი კარგი შეკრების მოწყობა ჩვენთვის მისწრება იქნება. თუ ნორმალური სამუშაო პროცესი წარიმართება, მჯერა, საშუალო ევროპულ დონის გუნდს ჩამოვაყალიბებთ. ლუქსემბურგს კი აუცილებლად უნდა მოვუგოთ, სხვა გზა არა გვაქვს. მაკედონიელმა და სერბმა თანაგუნდელებმა მითხრეს, სუსტი ნაკრებია, მათი დამარცხება არ უნდა გაგიჭირდეთო. ორივე ეს ქვეყანა ლუქსემბურგს ეთამაშა და იოლად დაჯაბნა.

დაბოლოს, არავის ვადანაშაულებ, მაგრამ ასეთ ცივ დარბაზში თამაში საშინელებაა. კუნთები იჭიმება, ბურთს ვერ იჭერ და ფსიქოლოგიურადაც პრობლემები გექმნება. მიუხედავად ამისა, ამ ოთხ დღესაც გავუძლებთ და ნორვეგიაშიც თავს დავდებთ, ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს დავიშურებთ.

**ლექსო მაისურაძე**

ევროპის ჩემპიონატი. ნორვეგია. 17-27 იანვარი

# ევროპა ნორვეგიაში დალაგდება

**დღეს** ნორვეგიაში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატი დაიწყება და 27 იანვრამდე გასტანს. საუკეთესოს გამოსავლენად ევროპის 16 რჩეული ნაკრები იბრძოლებს. გუნდები ოთხ ჯგუფში არიან განაწილებულნი — **A ჯგუფი**: ხორვატია, სლოვენია, პოლონეთი, ჩეხეთი; **B ჯგუფი**: დანია, რუსეთი, ნორვეგია, მონტენეგრო; **C ჯგუფი**: ესპანეთი, გერმანია, უნგრეთი, ბელარუსი; **D ჯგუფი**: საფრანგეთი, ირლანდია, სლოვაკეთი, შვედეთი. თითოეული მათგანიდან საუკეთესო სამეული მომდევნო ეტაპზე გადის, იქ ორ ექვსგუნდა ჯგუფს აკეთებს და საჩემპიონო ბრძოლას განაგრძობს. პირველი ეტაპიდან გასულებს თან ის ქულებიც გადასდევთ, რაც მანამდე მოინაგრეს. მეორე ჯგუფიდან უკვე ორ-ორი საუკეთესო გადის და ჯვარედინი სისტემით ერთმანეთს ნახევარფინალებში ეჯახება. მესამე ადგილისთვის მატჩი და ფინალი ლილეჰამერში გაიმართება.

გეტყვით, რომ ისლანდიის შემადგენლობაშია ქართველი როლანდ ერაძე, ვინც წლების განმავლობაში ძირითადის მეკარე გახლდათ.



სათქმელია, რომ საქართველოს ნაკრებიც ევროპირველობის მსვლელობის დროს ითამაშებს „ჩელენჯ-ტროფის“ ფინალს ქალაქ დრამენში, სადაც მეორე ჯგუფის თამაშებიც იმართება. ქართველ ქომაგს ამ თამაშს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უჩვენებს, მასვე საშუალება აქვს, ევროპის ჩემპიონატის ფინალიც გვანახოს.

**ლექსო მაისურაძე**





# ახალი სისხლი
## გერმანელებმა ამ საქმეში მენშოვიც გარიეს

**ველოსამყაროში** მორიგი დოპინგსკანდალი მწიფდება. გერმანული ტელეკომპანია ARD-ს ინფორმაციით, დაახლოებით 30 სპორტსმენი, რომელთა შორის საქვეყნოდ ცნობილი ველოსიპედისტებიც არიან, ერთ-ერთ ავსტრიულ ლაბორატორიაში ჰემოტრანსფუზიას, ანუ სისხლის გადასხმას აწარმოებდნენ.

„სისხლის დოპინგი“ თვით დოპინგთა შორისაც კი ყველაზე ყბადაღებულად ითვლება და როგორც ირკვევა, ხსენებული ავსტრიული ლაბქორატორიაც, კარგა ხანია, მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ეჭვქვეშ ყოფილა.

როგორც ARD იუწყება, ეჭვმიტანილთა შორის არიან ჰოლანდიური ველოგუნდის, „რაბობანკის“ ყოფილი და ახლანდელი მრბოლები — დანიელი მიქაელ რასმუსენი, ვინც შარშანდელ „ტურ დე ფრანსზე“ ლიდერობდა, თითქმის ჩემპიონი იყო და საკუთარი გუნდის მიერ იქნა მოკვეთილი, ესპანური „ვუელტას“ რუსი ჩემპიონი დენის მენშოვი და ჰოლანდიელი მიქაელ ბოოგარდი.

„რაბობანკის“ შეფმა ანრი ვან დერ ატმა გერმანული ტელეკომპანიის ამ ინფორმაციას მტკნარი სიცრუე უწოდა. „ველოსპორტის სამყაროში უამრავი ჭორია. ადამიანები ერთმანეთს ტალახს ესვრიან. გერმანელებმა თავიანთი დასკვნები გააკეთეს ისე, რომ არანაირი მტკიცებულება არ ჰქონიათ. არაფერია საეჭვო იმაში, რომ ჩვენი გუნდის წევრები პერიოდულად სისხლზე ტესტს გადიან. სანამ ოფიციალური მოთხოვნა არ იქნება, ჩვენი გუნდი ამ ისტორიის გამოძიებას არ აპირებს“ — განაცხადა ვან დერ ატმა, ვისაც ეჭვმიტანილი ავსტრიული ლაბორატორიის ერთ-ერთმა დირექტორმაც მხარი აუბა და ბრძანა, რომ გერმანელთა ბრალდებები რეალობას არ შეესაბამება.

ცნობისთვის გეტყვით, რომ ახალი სეზონისთვის გუნდის პრეზენტაცია „რაბობანკმა“ ამ ათიოდე დღის წინ მოაწყო, სადაც ითქვა, რომ 2008 წელს გუნდის ლიდერი, სწორედ მენშოვი იქნება, ოღონდაც მთელი აქცენტი „ტურზე“ გაკეთდება და „ვუელტას“ ორგზის ჩემპიონი რუსი არ დაიცავს ესპანეთში შარშან მოპოვებულ ტიტულს. „ტურამდე“ მენშოვი იტალიურ „ჯიროზე“ გამოვა და სწორედ აპენინებზე მოემზადება ფრანგული სუპერრბოლისთვის.

# ლენდისის საგა კვლავ გრძელდება



**2006 წლის** „ტურ დე ფრანსის“ ორდღიანი ჩემპიონის, შემდეგ კი დოპინგის მიღებაში მხილებული და ტიტულჩამორთმეული ამერიკელი ფლოიდ ლენდისის საგა კვლავაც გრძელდება.

ლენდისი დღემდე უდანაშაულოდ მიიჩნევს თავს და აგრძელებს ბრძოლას თავისი სიმართლის დასამტკიცებლად.

მას შემდეგ, რაც ფლოიდმა სამშობლოში ვერ შეძლო თავისის გატანა, უმაღლეს სპორტულ სასამართლოში (CAS) შეიტანა აპელაცია. როგორც ველომრბოლის წარმომადგენელმა მორის სამ განაცხადა, უმაღლესი სპორტული სასამართლო ლენდისის აპელაციას 19 მარტს განიხილავს. „ჩვენ იმისთვის ვართ განწყობილნი, რომ შევცვალოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული გადაწყვეტილებები და გვჯერა, რომ უმაღლესი სპორტული სასამართლო ფლოიდის მხარეს იქნება. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ის ფრანგული ლაბორატორია, რომელმაც ლენდისის სისხლში, ვითომ ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობა აღმოაჩინა, სუფთად არ მუშაობდა“ — ბრძანა სამ.

# ალონსომ რენო და პირველობა გაიხსენა



**ესპანურ** ხერესში მიმდინარე ტესტების მეორე დღეს საუკეთესო დრო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ერთწლიანი განშორების შემდეგ „მაკლარენიდან“ „რენოში“ დაბრუნებულმა ფერნანდო ალონსომ აჩვენა — 1 წუთი და 19,5 წამი. ესპანელს წამის ერთი მეათედით ჩამორჩა მისივე თანამემამულე, „მაკლარენის“ ტესტ-პილოტი პედრო დე ლა როსა, ხოლო 0,15 წამიანი ჩამორჩენით მესამე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი მძღოლი კიმი რაიკონენი.

მეოთხე ადგილზე „უილიამსის“ ფინური წარმოშობის გერმანელი ნიკო როსბერგი გავიდა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა „ფერარისა“ და „მაკლარენის“ მეორე პილოტები, ბრაზილიელი ფელიპე მასა და ფინელი ჰეიკი კოვალაინენი.

„მაკლარენში“ გატარებული ურთულესი სეზონის შემდეგ „რენოში“ დაბრუნებული ალონსო ოპტიმისტურად არის განწყობილი. შეგახსენებთ, რომ მთელი შარშანდელი წლის მანძილზე ესპანელს მუდმივი კონფლიქტები ჰქონდა თანაგუნდელ ლუის ჰემილტონთან და „მაკების“ ბოს რონ დენისთან. ახლა ნანდოს ასეთი პრობლემები, ალბათ აღარ შეაწუხებს.

„მოხარული ვარ, რომ წარსულს ვიხსენებ, ვეჩვევი ახალ ფერებს, ახალ ჩაფხუტს. ერთადერთი, რაც ამ წუთისთვის მაკლია, ახალი ბოლიდია. ამ ერთ წელიწადში გუნდში ბევრი რამ შეცვლილა, ასე რომ, ჩემთვის ეს ახალი გამოწვევა და ახალი თავგადასავლებია. დარწმუნებული ვარ, აქ შარშანდელი პრობლემები არ შემექმნება — „რენოს“ შეფი ფლავიო ბრიატორე ყოველთვის დიდებულად აკონტროლებდა გუნდში სიტუაციას და ახლაც ასე იქნება“ — განაცხადა ალონსომ, რომელმაც თავისი ორივე საჩემპიონო ტიტული, სწორედ „რენოს“ სახელით მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს „რენოში“ ალონსოს პარტნიორი ლეგენდარული ბრაზილიელის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნელსონ პიკეს ვაჟი ნელსინიო პიკე იქნება. შარშანდელი პილოტებიდან კოვალაინენი „მაკლარენში“ გადავიდა, ხოლო საჩემპიონო წლებში ალონსოს თანაგუნდელმა, იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ გაუქმებული „სპაიკერის“ ბაზაზე შექმნილ ახალ გუნდს, „ფორს ინდიას“ მიაშურა.

ხერესული ტესტების პირველ დღეს „ფიზიკომ“ ინდური ბოლიდით 76 წრე გაიარა და მე-12 შედეგი აჩვენა, რის შემდეგაც პირველი კომენტარები გააკეთა თავისი ახალი გუნდის სახელით: „მშვენიერი დღე იყო. დილიდან ტრასა ცოტა სველი კი იყო, მაგრამ შემდეგ გაშრა და რასაც ვგეგმავდით, ყველაფერი გავაკეთეთ. მცირეოდენი მექანიკური პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ არაფერია. ვფიქრობ, სწორი მიმართულებით მივდივართ და მომავალში უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ“.

**ბაჩა ლომაძე**

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

15 იანვარი

**დეტროიტი 1:5 ატლანტა**
*0:2 0:2 1:1*
0:1 ჰოსა (8), 0:2 ჰოსა (15), 0:3 ჰოსა (22), 0:4 პერენი (28), 1:4 კრონვალი (54), 1:5 კოზლოვი (59)

**ვაშინგტონი 4:2 ოტავა**
*0:0 2:2 2:0*
1:0 გრინი (21), 1:1 მაკამონდი (34), 1:2 რედენი (36), 2:2 სიომინი (36), 3:2 ოვეჩკინი (50), 4:2 სიომინი (52)

**აილენდერსი 1:3 მონრეალი**
*0:1 0:1 1:1*
0:1 პლეკანეცი (14), 0:2 პლეკანეცი (26), 1:2 პარკი (51), 1:3 კოვალიოვი (60)

**ტამპა 0:3 კოლორადო**
*0:0 0:2 0:1*
0:1 ფინგერი (26), 0:2 შჩასტნი (37), 0:3 ჰეიდუკი (59)

**ტორონტო 5:4 კაროლინა**
*0:0 3:2 2:2*
1:0 კაბერლე (24), 1:1 სამსონოვი (28), 2:1 კილგერი (30), 2:2 კოული (33), 3:2 სტეიჯანი (39), 3:3 ლედი (42), 4:3 პონიკაროვსკი (46), 5:3 უაიტი (49), 5:4 ბრინდამორი (60)

**ნეშვილი 3:0 კალგარი**
*0:0 2:0 1:0*
1:0 ერატი (32), 2:0 დიუმონი (36), 3:0 კონსტინენი (41)

**კოლუმბუსი 3:2 ვანკუვერი**
*2:1 1:1 0:0*
1:0 ჰაინსეი (3), 2:0 ჟერდევი (7), 2:1 ბიჩი (17), 2:2 დ. სედინი (34), 3:2 ჩიმერა (37)

**ედმონტონი 1:3 ლოს ანჯელესი**
*0:1 0:1 1:1*
0:1 ოსალივანი (6), 0:2 ბრაუნი (24), 0:3 ვიშნოვსკი (47), 1:3 პენერი (51)

**ფინიქსი 5:3 სან ხოსე**
*1:2 2:1 2:0*
0:1 ჩიჩუ (5), 1:1 დოუნი (8), 1:2 ტორნტონი (19), 2:2 ჟოვანოვსკი (21), 3:2 ჩერნკვისტი (33), 3:3 ბრაუნი (40), 4:3 პერო (41), 5:3 დოუნი (47)

**ანაჰაიმი 4:2 დალასი**
*1:1 2:1 1:0*
0:1 ჰაგმანი (4), 1:1 ს. ნიდერმაიერი (5), 2:1 მარჩანტი (30), 3:1 გეცლაფი (34), 3:2 ერიქსონი (40), 4:2 ბერტუცი (49)

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 44 | 26 | 15 | 3 | 110:101 | 55 |
| პიტსბურგი | 45 | 26 | 16 | 3 | 133:120 | 55 |
| ფილადელფია | 43 | 23 | 15 | 5 | 137:121 | 51 |
| აილენდერსი | 45 | 22 | 18 | 5 | 109:125 | 49 |
| რეინჯერსი | 46 | 21 | 20 | 5 | 12:120 | 47 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ოტავა | 45 | 29 | 12 | 4 | 157:127 | 62 |
| მონრეალი | 45 | 23 | 14 | 8 | 139:127 | 54 |
| ბოსტონი | 44 | 22 | 18 | 4 | 114:117 | 48 |
| ბუფალო | 43 | 19 | 18 | 6 | 125:125 | 44 |
| ტორონტო | 46 | 17 | 21 | 8 | 129:153 | 42 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 47 | 23 | 22 | 2 | 135:152 | 48 |
| კაროლინა | 48 | 22 | 22 | 4 | 144:155 | 48 |
| ფლორიდა | 46 | 20 | 22 | 4 | 114:129 | 44 |
| ვაშინგტონი | 45 | 19 | 21 | 5 | 127:140 | 43 |
| ტამპა | 46 | 17 | 24 | 5 | 132:157 | 39 |

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 47 | 33 | 10 | 4 | 160:104 | 70 |
| სენტ ლუისი | 43 | 22 | 15 | 6 | 114:112 | 50 |
| კოლუმბუსი | 46 | 22 | 18 | 6 | 117:115 | 50 |
| ნეშვილი | 45 | 22 | 19 | 4 | 127:127 | 48 |
| ჩიკაგო | 45 | 20 | 21 | 4 | 127:136 | 44 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| მინესოტა | 45 | 26 | 17 | 2 | 126:125 | 54 |
| ვანკუვერი | 46 | 25 | 17 | 4 | 121:108 | 54 |
| კოლორადო | 46 | 25 | 18 | 3 | 132:128 | 53 |
| კალგარი | 47 | 22 | 17 | 8 | 135:139 | 52 |
| ედმონტონი | 47 | 21 | 22 | 4 | 123:137 | 46 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 45 | 25 | 13 | 7 | 117:106 | 57 |
| ანაჰაიმი | 48 | 25 | 17 | 6 | 125:124 | 56 |
| დალასი | 48 | 25 | 19 | 5 | 139:127 | 55 |
| ფინიქსი | 45 | 24 | 20 | 1 | 121:123 | 49 |
| ლოს ანჯელესი | 47 | 18 | 27 | 2 | 135:156 | 38 |



სიდნი კროსბი

**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 63(20+43); 2. ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 63(28+35); ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 63(37+26); ჯერომ იგინლა (კალგარი) 61(32+29); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 60(29+31); ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 58(27+31); დენი ჰიტლი (ოტავა) 56(25+31); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 55(34+21); პაველ დაციუკი (დეტროიტი) 55(17+38); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 55(14+41); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 53(17+36); ჯეისონ სპეცა (ოტავა) 53(15+38); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 52(23+29); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 51(18+33); მატს სუნდინი (ტორონტო) 50(20+30)

**გოლეადორები:** კოვალჩუკი 37; ოვეჩკინი 34; იგინლა 32; ალფრედსონი 29; ლეკავალიე 28; ზეტერბერგი 27; ბრედ ბოისი (სენტ ლუისი), ჰიტლი, მარიან გაბორიკი (მინესოტა) 25-25; კორი პერი (ანაჰამი) 24; ერიკ სტაალი (კაროლინა), მალკინი, დასტინ ბრაუნი (ლოს ანჯელესი), რიკ ნეში (კოლუმბუსი) 23-23

**ასისტენტები:** კროსბი 43; ტორნტონი 41; სპეცა, ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), დაციუკი 38-38; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 37; მარკ სავარი (ბოსტონი), სენ ლუი 36-36; ლეკავალიე 35; გაცლაფი 33; სკოტ გომესი (რეინჯერსი), პოლ შჩასტნი (კოლორადო) 32-32

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ლიდსტრომი 35; ჰიტლი 31; დაციუკი 27; გეცლაფი 22; სპეცა 21; ზეტერბერგი 19; დანიელ კლირი (დეტროიტი), ალექსანდერ ელდერი (ვანკუვერი) 18-18; იგინლა 17

**მეკარეები**

**გაშვებულ გოლთა საშუალო მაჩვენებელი:** კრის ოსგუდი (დეტროიტი) 1,95; პასკალ ლეკლერი (კოლუმბუსი) 2,00; რობერტო ლუონგო (ვანკუვერი) 2,04; ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე), 2,06; მენი ლეგასი (სენტ ლუისი) 2,08; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,10; დომინიკ ჰაშეკი (დეტროიტი) 2,14; ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) 2,33; ტიმ ტომასი (ბოსტონი) 2,33

**დარტყმათა მოგერიების პროცენტი:** ტომასი 93,0; ლეკლერი 92,7; ლუონგო 92,7; კრისტობალ იუე (მონრეალი) 92,3; ოსგუდი 92,2; ლეგასი 92,1; ბროდო 92,0; ილია ბრიზგალოვი (ფინიქსი) 91,8; დენ ელისი (ნეშვილი) 91,8; მეტიუ გერონი (ედმონტონი) 91,8; მარტინ ბირონი (ფილადელფია) 91,8

**მოგებული მატჩები:** ნაბოკოვი 25; ბროდო 24; მიკა კიპრუსოფი (კალგარი) 22; ლუონგო 21; ჟიგერი, მარტინ გერბერი (ოტავა) 20-20; ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი), ტომაშ ვოკოუნი (ფლორიდა), ოსგუდი 19-19; რიკ დიპიეტრო (აილენდერსი) 18

**შატაუტები:** ლეკლერი 7; ლუნდკვისტი, ლუონგო 6-6; ნაბოკოვი 5; ბროდო 4; ჰაშეკი, ვოკოუნი, კემ უორდი (კაროლინა), გერონი, ლეგასი, კრის მეისონი (ნეშვილი), ელისი 3-3

სნუკერი

## მასტერსის ტურნირი. ლონდონი. ინგლისი. 13-21 იანვარი

# ფუს ფუის ვერავინ ეტყვის



მარკო ფუ

**ლონდონში** მიმდინარე „მასტერსზე“ სამი სათამაშო დღე მიილია და ექვსი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. სტივ მაგუაერისა და შონ ფერფის შემდეგ, რომლებმაც ტურნირის სასტარტო დღეს, შესაბამისად, რონი ოსალივანსა და ალისტერ კარტერს მოუგეს, მეოთხეფინალში თამაშის უფლება მარკ სელბიმ, კენ დოჰერტიმ, პიტერ ებდონმა და მარკო ფუმ მოიპოვეს.

მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტით, ინგლისელი სელბით დავიწყოთ, რომელმაც დრამატულ ბრძოლაში აჯობა თანამედროვე სნუკერის უტიტულოვანეს მოთამაშეს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ შოტლანდიელ სტივ ჰენდრის. სქოთმა დიდოსტატმა მატჩის მსვლელობისას კარიერაში 710-ე ასქულიანი ბრეიკი გააკეთა და მეტოქე კუთხეშიც მოიმწყვდია — ჰენდრი 5:3-ს იგებდა, მაგრამ სელბიმ ბოლომდე იბრძოლა, ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტ მე-11 ფრეიმში მეთოდურად მოგუდა სახელოვანი მეტოქე.

მეოთხედფინალში სელბი მაგუაერს შეხვდება, ხოლო სატურნირო ბადის ზედა ნახევრის მეორე ნახევარფინალისტი მსოფლიოს ექსჩემპიონების, ირლანდიელი დოჰერტისა და ინგლისელი მერფის დუელში გაირკვევა. დოჰერტიმ უპრობლემოდ, 6:2 მოუგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, უელსელ მარკ უილიამსს.

ბადის ქვედა ნახევარში სამი დღის შემდეგ ორი მეოთხედფინალისტი გამოვლინდა — მსოფლიოს კიდევ ერთი ექსჩემპიონი, ინგლისელი ებდონი და ამ სეზონში დიდებულად მოთამაშე ჰონკონგელი ფუ.

ებდონმა მერვედფინალში 6:4 აჯობა უელსელ რაიან დეის, რომელმაც მანამდე საკვალიფიკაციო მატჩში 6:2 სძლია ინგლისელ ბარი ჰოუკინსს.

ორი მატჩის ჩატარება მოუწია ფუსაც. „მასტერსზე“ ორგანიზატორთა მოწვევით, ანუ „ვაილდ ქარდით“ მოხვედრილმა აზიელმა კვალიფიკაციაში 6:2 გაანადგურა სნუკერის ვეტერანი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ინგლისელი სტივ დევისი, ხოლო მერვედფინალში, უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში 6:5 მოუგო ავსტრალიელ ნილ რობერტსონს.

მეოთხედფინალში ებდონი შოტლანდიელ მსოფლიოს ექსჩემპიონ გრემ დოტსა და ინგლისელ სტივ ლის შორის გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო ფუს მეტოქე მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონს, შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსსა და ჩინელ დინ ჯუნხუს შორის უძლიერესი იქნება.




# ბურთაობის დღეები

ამერიკულ ბურთაობაში პლეიოფების ფიცხელი ხანა დადგა. ნიუ იორკ ჯაიანტსი დალასელ კოვბოებს სტუმრობს და მრავალ სამხრეთისკენ დაძრულ ფანს შორის ჯო რობეკიც გახლავთ. თუმცა, ჩვენთვის უცნობია, რას ნიშნავს მისი ალკაზმულობა. ალბათ ძალიან მაგარი ფანი უნდა იყო ამერიკული ბურთაობისა, ამას რომ ჩახვდე.

ქვემოთ კი ამერიკის ეროვნული ლიგის ამბავია ინდიანაში, სტუმარ სანდიეგოელებს მოუგიათ მასპინძელი კოლტებისთვის ამერიკის ლიგის საპლეიოფო თამაში და ასე ზანგური სალმით ზეიმობენ.



AFP

# მელბურნის ავტოგრაფები

ავსტრალიის ღია პირველობაზე ამელი მორესმომ პირველი ომით წაგებული სეტის შემდეგ, ორჯერ სულ ნოლზე დატოვა ბელარუსი ტატიანა პუტჩეკი და ავტოგრაფებსაც სიხარულით არიგებს.



AFP

# მედლები პეკინისთვის

შანხაიში გამოუფენიათ საპეკინო მედლების ნიმუშები და სამხედრო დაცვაც მიუყენებიათ. სულ ათას-ათას ცალად უნდა ჩამოისხას, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები.



AFP



AFP

# ალპური ჩიტები

რაც გინდა თქვი და, სნოუბორდი ყველაზე თვალსასეირო თხილამურობაა. ბად გაშტეინში მსოფლიო თასი გახურებულა და წინ ჯერჯერობით ავსტრიელი მარიო ფუნსია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge